ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## „გიორგი შაქარაშვილს მარიამ ხატისკაცი მოსწონდა და დაბადების დღეზე იმიტომ წავიდა“

ლუკა გოგავას ჩვენება

გვ.5



ხუთშაბათი, 16 ივლისი, 2020 №151 (8415) ფასი: 60 თეთრი

# „კალაძის გუნდი გახარიას ურტყამს, გახარიას გუნდი შსს-ს ერჩის“



## გიორგი ვაშაძე:

გვ.3

„სექტემბერში ზუსტად ის ვითარება გვექნება, რომელიც კორონამდე იყო“



## დავით ქიქინაძე: „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ნაგავში იქცევა“

გვ.3



„ბიძინა ივანიშვილმა ცინიზმის უმაღლესი დონე გამოავლინა, როდესაც გვითხრა, ყველა დანაპირები შეგისრულეთო“

## „ოცნება“ არჩევნებში 35%-მდე აიღებს“



ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილს პატივს ვცემ, მაგრამ მიშისტი არ ვარ“

გვ.2



## სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მონტენეგროში — როგორია კრემლის მიერ მართული ბიზნესმენის დერიპასკას როლი ამ საქმეში

გვ.4

## სანაპირო დაცვის ფოთის ბაზას აშშ-ის ელჩი ესტუმრა

გვ.2



ISSN 1987-9385

2 გია ვოლსკი: „აუცილებელი არ არის, ივანიშვილი სიის პირველი ნომერი იყოს“

5 დავით ცინარიძე 30.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

3 ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი პაატა ბურჭულაძე იქნება?

4 იქნება თუ არა ფართომასშტაბიანი ომი კავკასიაში?

# „ოცნება“ არჩევნებში 35%-მდე აიღებს“

## ნიკა ჩიტაძე: „სააკაშვილს პატივს ვცემ, მაგრამ მიშისტი არ ვარ“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებული კვლევებით ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ რეიტინგი თითქმის თანაბარია, ზოგიერთი ინფორმაციით კი ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი მცირედით სჭარბობს კიდეც „ოცნებისას“. „ოცნება“ ამ რეალობის შესაცვლელად ყველაფერს აკეთებს.**
**რამდენად მოსალოდნელია აღნიშნული ინფორმაცია, როგორ წარიმართება ამ ფონზე საარჩევნო კამპანია და რა როლი ექნება მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაში ჩართულობას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**



***— როგორ წარმოგიდგენიათ საარჩევნო კამპანია და ბრძოლა? ისევ მთავარი ბრძოლა ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის წარიმართება?***

— ჩემი აზრით, ძირითადი კონკურენცია ამ შემთხვევაშიც იქნება „ქართულ ოცნებასა“ და გაერთიანებულ ოპოზიციას შორის, რომელსაც ოპოზიციურ ძალებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი გააჩნია. ძირითადი ბრძოლა მათ შორის წარიმართება, მაგრამ ასევე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ სხვა პოლიტიკური სუბიექტები, მათ შორის „ევროპული საქართველო“, „ლელო“ და „პატრიოტთა ალიანსი“. თუმცა, „ოცნება“ მთავარ კონკურენტად რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობას განიხილავს.

რაც შეეხება შინაარსს, „ქართული ოცნება“ ორ ძირითად საკითხს დაეყრდნობა. პირველი, ეცდება, გამოიყენოს მისი ძლიერი მხარე და საზოგადოებას შეახსენოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ის, თუ როგორ გაუმკლავდა საქართველოს ხელისუფლება პანდემიას სხვა ქვეყნებთან შედარებით, როგორ დაიმსახურა მადლობა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან და ა.შ. ამ ნაწილში ისინი გამოიყენებენ თეთრი პიარის ტექნოლოგიებს.

რაც შეეხებაშავი პიარის ტექნოლოგიებს, „ოცნება“ შეეცდება, რომ დარტყმა მიაყენოს პოლიტიკურ ოპონენტებს, პირველ რიგში – ნაციონალურ მოძრაობას. მათ შორის ისაუბრებს იმაზე, რომ ნაცმოძრაობამ არ მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვაში მონაწილეობა, მაშინ როდესაც თავად ითხოვდა. შესაძლოა, მან ასევე გამოიყენოს რურუას ფაქტორი და კამპანია ააგოს იმაზე, რომ მას აქვს დანაშაულებრივი წარსული და თქვას, რომ ნაცმოძრაობა, რომელიც მას პოლიტპატიმრად მოიხსენიებს და იტყვის, რომ ასეთ ადამიანებს ეყრდნობა მთავარი ოპოზიციური პარტია. ასევე 9-წლიან მმართველობას ისევ აქტიურად გაიხსენებს. ეს მოძველებული თემაა, მაგრამ, მე მგონია, რომ ამ თემაზე საუბარს მაინც ეცდება.

„ქართული ოცნება“ გამოიყენებს როგორც თეთრ, ისე შავ პიარტექნოლოგიებს. რაც შეეხება გაერთიანებულ ოპოზიციას, ის კამპანიას ააგებს იმაზე, რა უნდა შეიცვალოს.

***— რამდენიმეჯერ ახსენეთ გაერთიანებული ოპოზიცია და დარჩება ერთიანი ფორმატით? რაიმე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?***

— მგონია, რომ, დიდი ალბათობით, დარჩება კოალიციის სახით. არა, ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ ამ კოალიციაში 11 სუბიექტია და, არა მგონია, მათი მიზანი წინასაარჩევნოდ განხეთქილების ჩვენება იყოს.

***— ანუ ცალ-ცალკე თუ გამოვლენ, განხეთქილების დემონსტრირებაც შეიძლება იყოს „ოცნებისა“ და მისი ამომრჩევლის თვალში?***

— შესაძლებელია, ამაზეც ილაპარაკონ, რომ როცა პარტნიორებთან ვერ შეთანხმდნენ, მაშინ როგორ გაუძლვებიან ისინი ქვეყანას. შეიძლება, ამაზეც იყოს საუბარი.

***— ასეთი ინფორმაცია მაქვს, რომ „ოცნების“ შიდა კვლევებით „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის რეიტინგი თითქმის თანაბარია და ზოგიერთ შემთხვევაში უსწრებს კიდეც ნაცმოძრაობის რეიტინგს. ეს ინფორმაცია მოსალოდნელი იყო თუ არა?***

— კი, მოსალოდნელი იყო ამ შემთხვევაში, იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა ინარჩუნებს საკუთარ პოლიტიკურ ელექტორატს. ამ შემთხვევაში საქართველოს მესამე პრეზიდენტის ფაქტორიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ ეს ფაქტია.

***— თქვენ სამწუხაროდ მიიჩნევთ თუ საბედნიეროდ?***

— თქვენ იცით ჩემი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, იცით, რომ პატივს ვცემ ბატონ მიხეილ სააკაშვილს, მის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და მიღწევებს გუნდთან ერთად. თუმცა მე, პირადად, მიშისტი არ გახლავარ. მე ვარ ევროატლანტიკოსი. კი ბატონო, ნაცმოძრაობის მიღწევებს მხარს ვუჭერდი ყოველთვის და დღესაც ვსაუბრობ ამაზე, მაგრამ ერთ ადამიანს არ უნდა ეფუძნებოდეს ეს. ერთი ადამიანის გაფეტიშება არ უნდა ხდებოდეს, თუნდაც პოლიტიკური ლიდერი იყოს. მე ჩემს თავს მიშისტად არ მივიჩნევ. ასე მგონია, რომ საქართველოში ბელადომანია არ უნდა არსებობდეს, არც ბიძინა ივანიშვილის მიმართ, არც მიხეილ სააკაშვილის მიმართ და ზვიადიზმიც არ იყო კარგი ფორმა. პატივი უნდა სცე ადამიანს, მაგრამ ადამიანის გაფეტიშება და გაბელადება სწორად არ მიმაჩნია.

***— ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილი ისევ აქტიურად ჩაერთვება საარჩევნო პროცესში. ეს წაადგება თუ არა ოპოზიციას, კონკრეტულად კი ნაციონალურ მოძრაობას?***

— იქიდან გამომდინარე, რომ როგორც გითხარით, სააკაშვილის ფაქტორი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმაში, რომ ნაცმოძრაობას თავისი სტაბილური ამომრჩეველი ჰყავს. მე ასე მგონია, რომ ეს დადებითად აისახება ნაცმოძრაობის რეიტინგსა და მის საარჩევნო კამპანიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი მიხეილი უკრაინის მოქალაქეა უკვე, მისი მომხრეები მას მაინც მიიჩნევენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერად.

***— გადამწყვეტი იქნება თუ არა სააკაშვილის ჩართულობა არჩევნებზე?***

— მოდით, ასე ვთქვათ, რომ ერთ-ერთი და არა ერთადერთი. მისი ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს ნაცმოძრაობის რეიტინგს, რაც 20%ს თითქმის ყველა ეტაპზე აჭარბებდა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ, „ენ-დი-აის“ კვლევით, ნაცმოძრაობის რეიტინგი 13%-მდე დაეცა. ეს გამოიწვია აგორებულმა შავმა პიარმა, ციხის კადრებმა და ა.შ.

***— შავი პიარის გამოყენება არც შეწყვეტილა ამ თვალსაზრისით. არ მეთანხმებით?***

— კი, არ ჩამცხრალა. არიან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ნაცმოძრაობის პოლიტიკური მოღვაწეობა გაუპატიურებებთან და

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გია ვოლსკი: „აუცილებელი არ არის, ივანიშვილი სიის პირველი ნომერი იყოს“

პარლამენტის ვიცესპიკერ გია ვოლსკის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი, როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერი, წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული იქნება.



მისი თქმით, ჯერჯერობით მიმდინარეობს განხილვა, რა ფორმით ჩაერთვებიან ლიდერები წინასაარჩევნო მუშაობაში და რომელ რეგიონებში ივლიან.

— ჩვენ ვემზადებით მაჟორიტარობის კანდიდატების დასასახელებლად, უახლოეს პერიოდში. განხილვები მიმდინარეობს ყოველდღე, მათ შორის სიის. ბიძინა ივანიშვილი არის პარტიის ლიდერი და აუცილებელი არ არის, სიის პირველ ნომრად დაასახელო, რომ პარტიის ლიდერის ფუნქცია რაიმე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. პარტიის ლიდერი საარჩევნო კამპანიაში ჩართული იქნება. ფორმებზე, მეთოდებზე ვყალიბდებით, როგორ ჩაერთვებიან ლიდერები, სად ივლიან, რომელ რეგიონებში.

ეს ყველაფერი იქნება გამჭვირვალე. რეალურად სამუშაო რეჟიმია და სამუშაო რეჟიმში ყველა ჩავერთვებით და მათ შორის პარტიის თავმჯდომარე, — განაცხადა ვოლსკიმ.

მან ირაკლი კობახიძეზეც ისაუბრა.

ვოლსკი მიიჩნევს, რომ ირაკლი კობახიძეს სიხისტე არ ახასიათებს, თუ საქმე პრინციპულ საკითხებს არ ეხება.

— ირაკლი კობახიძეს აქვს შესანიშნავი მონაცემები კოორდინატორის, ორგანიზატორის. საკმაოდ დადებითი ადამიანია, არავითარი სიხისტე მას არ ახასიათებს, თუ ეს არ ეხება პრინციპულ საკითხებს — ეს ყველას გვახასიათებს. მთავარი რაც უნდა იცოდეთ, ერთი ადამიანის ხასიათი, თუნდაც, ჩემი ხასიათი, გარკვეული ნაკლოვანებები არ განაპირობებს იმას, რომ შტაბი აირჩევს გარკვეულ მიმართულებას იმ ხასიათის მიხედვით, რომელიც გააჩნია რომელიმე ჩვენგანს. ასე რომ, ოპოზიციის ეს განცხადებები უსუსურიც არის და სასაცილოც. იუმორის გრძნობაც ბევრს გაგვაჩნია, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ჩვენი ოპონენტების რიგებში ადამიანებს აქვთ, — განაცხადა ვოლსკიმ.

შეგახსენებთ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად ირაკლი კობახიძე 14 ივლისს დაინიშნა.

# „ვახო ახვლედიანი ამ ღამეს სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა“

გიორგი შაქარაშვილის საქმის ფიგურანტ ვახო ახვლედიანის ოჯახი განცხადებას ავრცელებს. ოჯახი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ვახო ახვლედიანი გამოძიებასთან არ თანამშრომლობს.

განცხადება პრაიმ ტაიმმა გამოაქვეყნა:

„ვახო ახვლედიანი და მისი ოჯახი, პირველ რიგში, სამძიმარს უცხადებს შაქარაშვილების ოჯახს წარმოუდგენელი ტრაგედიის გამო.

თავად ვახო და მისი ოჯახი კატეგორიულად ემიჯნებიან გაჟღერებულ აზრს, თითქოს ის არ თანამშრომლობს გამოძიებასთან. პირიქით, მის ყველა ჩვენებაში დასტურდება, რომ მათ მოძალადეები საცემად მისდევდნენ. ამ საქმეზე სამართლის აღსრულება, შაქარაშვილების ოჯახთან ერთად, სწორედ ვახო ახვლედიანის და მისი ოჯახის ინტერესში შედის.

წარმოუდგენელი ზეწოლაა მასზე, როგორც მოწმეზე, თითქოს ის სიმართლეს მალავს. ხშირ შემთხვევაში ბრალდებულების ადვოკატების ინტერპრეტაციებით შუქდება ახალი დეტალები, რის გამოც საზოგადოების ნაწილი შეცდომაში შედის.

ვახო ახვლედიანიც ისეთივე მსხვერპლია ამ სიტუაციაში, როგორც დანარჩენი ბიჭები, რომლებსაც მოძალადეები ტრაგედიის ღამეს დევნიდნენ. ექსპერტის შეფასებით, ისიც ბეწვზეა გადარჩენილი არაგვის ხევში გადაჩეხვას. ასევე, სიკვდილს გადაურჩა სახის არეში სასტიკად ნაცემი მისი მეგობარი – გიორგი ქათამაძე.

ინციდენტის შემდეგ შუბლგატეხილმა, სისხლიანმა, შოკურ მდგომარეობაში მყოფმა ვახომ მოახერხა თბილისში მეგობრებთან დარეკვა და მისი და მისი ახლო მეგობრის – სასტიკად ნაცემი გიორგი ქათამაძის თბილისამდე ჩამოყვანის ორგანიზება.

ხიდზე მომხდარი მეორე თავდასხმის დროს ყველა თავის გადასარჩენად მირბოდა. ოთხივე ბიჭი. ვახო ერთ-ერთია, რომელიც შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს.

გაუგებარია, რატომ არ არის აქცენტი ბიჭების დასასჯელად ჩასულ რკინის ხელკეტებით შეიარაღებულ მოძალადეებზე და რატომ არის ასეთი ზეწოლა მსხვერპლზე.

ვთხოვთ და მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ფაქტების გავრცელებისგან, რაც ნაადრევი და არაობიექტური დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ამ მნიშვნელოვან საქმეზე“.

# ქურდობისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის ბრალდებით 5 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისსა და ბათუმში 5 პირი: 1994 წელს დაბადებული ა.კ., 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.პ, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.მ., 1975 წელს დაბადებული კ.მ. და 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ჯ. დააკავეს. ასევე, დაუსწრებლად პასუხისგებაში იქნა მიცემული რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1982 წელს



დაბადებული მ.მ. მათ ორგანიზებული ჯგუფის მიერ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევასა და დიდი ოდენობით თანხების ფარულად დაუფლებაში ედებათ ბრალი.

დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ რუსეთის მოქალაქე მ.მ.-მ და ა.კ.-მ უნებართვოდ შეაღწიეს ონლაინტოტალიზატორისა და კაზინოს მომხმარებელთა ვებგვერდებზე და მათზე მიბმული საბანკო პლასტიკური ბარათებიდან ფარულად დაეუფლნენ 23 მოქალაქის კუთვნილ თანხებს. უკანონოდ დაუფლებული თანხების განაღდებაში კი მათ მ.მ., კ.მ., თ.პ. და გ.ჯ. ეხმარებოდნენ. მოქალაქეთათვის მიყენებული ზიანის ოდენობამ, ჯამში, 72.000 ლარი შეადგინა.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე და 284-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ქურდობასა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევას გულისხმობს.

# სანაპირო დაცვის ფოთის ბაზას აშშ-ის ელჩი ესტუმრა



შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ფოთის ბაზას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი აშშ-ის დელეგაციასთან ერთად ეწვია. სტუმრებს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, თემურ კეკელიძემ უმასპინძლა.

შეხვედრაზე სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა, I რანგის კაპიტანმა, რამაზ პაპიძემ აშშ-ის ელჩს სანაპირო დაცვის ამოცანები და შესაძლებლობები გააცნო. სანაპირო დაცვის ოპერატიული მართვის სამსახურის უფროსმა, II რანგის კაპიტანმა ნინო კალანდარიშვილმა კი მართვის ცენტრში გეგმური ბრიფინგი ჩაატარა.

კელი დეგნანი პირადად შეხვდა ოპერაციათა კონცეფციის შესაძლებლობების პროცესში ჩართულ აბორდაჟის ჯგუფის წევრებს და მათი აღჭურვილობა დაათვალიერა. დელეგაციის წევრებმა ამერიკული მხარის მიერ გადმოცემული „აილენდის“ კლასის სადარაჯო ხომალდი „ოჩამჩირეც“ მოინახულეს. ხომალდის მეთაურმა სტუმრებს გემის ტექნიკური მახასიათებლები და ოპერაციული შესაძლებლობები გააცნო.

აშშ-ის საელჩო საქართველოს სანაპირო დაცვის ფლოტისა და საზღვაო ინფრასტრუქტურის გაძლიერების, ასევე, გემთსარემონტო შესაძლებლობების განვითარების კუთხით არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ნაგავში იქექება“

## დავით ჭიჭინაძე: „ბიძინა ივანიშვილმა ცინიზმის უმაღლესი დონე გამოავლინა, როდესაც გვითხრა, ყველა დანაპირები შეგისრულეთო“



ნათია ხურცილავა

**პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, წინასაარჩევნო გარემოზე მინდა გკითხოთ. „ქართულმა ოცნებამ“, შეიძლება ითქვას, წინასაარჩევნო კამპანია გახსნილად გამოაცხადა. ცნობილია, რომ მმართველი პარტიის საარჩევნო შტაბს ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას და რა მოლოდინი გაქვთ წინასაარჩევნოდ?***

– წინასაარჩევნო გარემო ნელ-ნელა იძაბება. ხალხი თავისთვის არის, ხელისუფლება კი – თავისთვის. ამ რამდენიმე ხნის წინ კობახიძემ გაგვახარა, სიხარულით გვამცნო – თამამი დაპირებები გვექნებაო! სითამამეს, მით უფრო დაპირებებში, წინ რა უდგას. შესრულებაა მთავარი, თორემ... რა უნდა გვითხრას ახალი „ქართულმა ოცნებამ“, რაც აქამდე არ უთქვამს?!

პანდემია დავამარცხეთო. პანდემიასთან ერთად, ქვეყანაც დაამარცხეს, ხალხი აბსოლუტურად გაალატაკეს. ნახეთ, რა დღეშია ხალხი, ვალებში იხრჩობა.

***– არჩევნებზე რის იმედი შეიძლება ჰქონდეს „ქართულ ოცნებას“? შეიძლება ფიქრობენ, წინასაარჩევნო დაპირებებით გავალთ ფონსო თუ საარჩევნო სიის იმედი აქვთ, რომლის სათავეში, არ არის გამორიცხული, ბიძინა ივანიშვილი იყოს?***

– ეს, მისი, საკუთარი თავის გადამეტებული შეფასების ბრალია. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინა პერიოდი მინდა, ყველას გავახსენო. გახსოვთ, როგორ იხვეწებოდა ივანიშვილი ერთ ხმას, არჩევნებზე მისვლას?! ხომ ნახა, ქართველი ხალხის ასე აგდებული დამოკიდებულება როგორი ძვირი დაუჯდა! მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნები მაინც ვერ გამოიტანა.

ბიძინა ივანიშვილმა ცინიზმის უმაღლესი დონე გამოავლინა, როდესაც გვითხრა, ყველა დანაპირები შეგისრულეთ და ამაზე კარგი ქვეყანა რა გინდათო?! ხოლო მათ, ვისაც ეს არ მოსწონს, პრაქტიკულად, იაფი ბილეთი და ქვეყნიდან წასვლა შესთავაზა.

„ქართულმა ოცნებამ“ და მისმა შემადგენლობამ თავისი შესაძლებლობა ამოწურა. ამ ადამიანებს სხვა შესაძლებლობა არ გააჩნიათ და ეს ჩვენ 8 წლის განმავლობაში ვნახეთ. მე ვფიქრობ, ეს არჩევნები იქნება „ქართული ოცნების“ რვაწლიანი მმართველობის სამარცხვინო კრახი.

***– ასეთი განწყობა გაქვთ თუ რეალურად შეიძლება, ეს გადაწყვეტილება მიიღოს ამომრჩეველმა?***

– ეს არის ის განწყობა, რომელიც აქვს ხალხს და მე ვიცი, ხალხის განწყობები როგორია. ხალხი უყურებს, აკვირდება და გადაწყვეტილებასაც იღებს.

ობიექტურად რომ ვთქვათ, პოლიტიკა არის დაპირებების ასპარეზი, მაგრამ ყოველი მომდევნო არჩევნები ასევე არის ამ გაცემული დაპირებების შესახებ ანგარიშის ჩაბარება. მითხარით, მეტს რას უნდა დაჰპირდეს ხელისუფლება, რომ ხალხმა ირწმუნოს, მისი შესრულება შეუძლიათ?! „ოცნება“ თავისი ხელმძღვანელობით ერთი დიდი უპირო ორგანიზაცია აღმოჩნდა. 2012 წლიდან მოყოლებული, პრაქტიკულად, არც ერთი გაცემული დაპირება არ შეუსრულებიათ.

ამიტომ გადაწყვიტეს ასეთი რაღაცა: პრაქტიკულად, მმართველი გუნდი ცდილობს, დაგვარწმუნოს იმაში, რომ ყველაფერი კარგად არის, უბრალოდ, ამას ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები ვერ ვგრძნობთ და ვერ ვაფასებთ. ეს არის საშინელება. ამ რეალობაში კი იკარგება ის მთავარი გამოწვევა, რომელიც დღეს არსებობს ქვეყანაში. ცხადია, ეკონომიკურ სიდუხჭირეზე ვსაუბრობ. ადამიანებს ცხოვრება გაუძვირდათ. ბანკებმა საბანკო სესხები გაზარდეს. არიცხავენ ჯარიმებს, ჯარიმებზე კი – პროცენტებს. სრული განუკითხაობაა. ეს ხდება ხელისუფლების მიერ გაცემული თამამი დაპირებების პარალელურად. ხელისუფლებამ გვითხრა, რომ ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, ყოველგვარი კაპიტალიზაციისა და ყოველგვარი პროცენტების დარიცხვის გარეშე გადაუვადდებოდათ სესხები 6 თვით. აღმოჩნდა, რომ რეალურად ეს არ სრულდება, რატომ? ამაზე პასუხის გაცემა არავის სურს. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენი მთავრობა ბანკების მთავრობაა, მათზე არიან ორიენტირებულნი და არა ხალხსა და ხალხის პრობლემებზე.

***– თქვენი ინფორმაციით, „ოცნების“ შემადგენლობა შეიცვლება? ახალ სახეებს უნდა ველოდოთ?***

– არც შემადგენლობა შეიცვლება და არც შინაარსობრივად არაფერი შეიცვლება. შემადგენლობა ვერ შეიცვლება, რადგან „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ნაგავში იქექება.

***– როგორც ვიცი, 2016 წლის საარჩევნო სიისგან განსხვავებით, ამ სიას კალაძე კი არა, კობახიძე წერს ივანიშვილთან ერთად.***

– რა მნიშვნელობა აქვს. ეს ადამიანები გამოკეტილნი იყვნენ თავიანთ ილუზორულ სამყაროში და გადმოტრიალებული ბინოკლიდან უყურებდნენ სამყაროს. ასეთი ადამიანები საარჩევნო სიას ვერ დაწერენ. მე იმ სიასა და იმ პოლიტიკაზე ვსაუბრობ, რომელმაც ეს ქვეყანა სამშვიდობოს უნდა გაიყვანოს. ამას კი დიდი ადამიანები სჭირდება, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ პასუხისმგებლობას და არა მონები.

# „კალაძის გუნდი გახარიას ურტყამს, გახარიას გუნდი შსს-ს ერჩის“

## გიორგი ვაშაძე: „სექტემბერში ზუსტად ის ვითარება გვექნება, რომელიც კორონამდე იყო“



**„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.**

ნონა ცაბაძე

***– ბატონო გიორგი, ოპოზიციის ერთმა ნაწილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნაციონალური მოძრაობა აპირებს ოპოზიციური ერთობიდან გასვლას. რა ხდება?***

– პირველი ის, რომ ჩვენ გვაქვს ფართო ოპოზიციური გაერთიანება ბლოკის სახით. მეორე და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დავსხდებით და საარჩევნო სტრატეგიასთან დაკავშირებით უნდა ჩამოვყალიბდეთ საბოლოოდ. ვიმსჯელებთ ყველა საკითხზე და საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ, ერთად გავდივართ თუ ცალ-ცალკე.

***– თქვენი ნათქვამი ისე გაიგეს, რომ ნაციონალები გტოვებენ. თავად ნაცები კი აცხადებენ, არსად გასვლას არ ვაპირებთ, ეტყობა, თვითონ უნდათ ამ ერთობიდან გასვლაო.***

– ეს გაუგებრობები რომ არ იყოს, აქედან გამომდინარე, ვგეგმავთ შეხვედრას, დავსხდებით და ყველაფერს გადავწყვეტთ. აღარ შეიძლება ნამდვილად ამ პროცესის გაწელვა. მე და ჩემს გუნდს ჩვენი პოზიციები გვაქვს საარჩევნო სტრატეგიასთან დაკავშირებით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ პრემიერ-მინისტრი და ჩრდილოვანი კაბინეტი უნდა დასახელდეს. შემადგენლობის რაც შეიძლება მაქსიმალური განახლება უნდა მოხდეს. ბევრი საინტერესო პროფესიონალია საქართველოში და ისინი უნდა შემოვიდნენ ამ პროცესში.

აი, ეს არის მთავარი საკითხები საარჩევნო სტრატეგიასთან დაკავშირებით, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ერთად ვიქნებით თუ ცალ-ცალკე ამ არჩევნებში, ჩვენი მთავარი კონკურენტი და სამიზნე არის ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“. აქედან გამომდინარე, ძალიან სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ ამ კუთხით.

***– თუკი შეთანხმდებით, პრემიერმინისტრობის კანდიდატსაც დაასახელებთ?***

– აუცილებლად. პრემიერობის კანდიდატის დასახელება არჩევნებში გამარჯვებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომელიც უნდა გამოვავლინოთ იმავე სოციოლოგიური კვლევებით. ადამიანები გაურკვევლობას ხმას არ აძლევენ. როცა ვიძლევით დაპირებას, უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ამ დაპირებების შესრულების ვალდებულებას იღებენ.

***– ამ დაპირისპირებამ დასწია ოპოზიციური პარტიების რეიტინგი? როგორც გავიგე, თქვენ თავადაც ჩაატარეთ კვლევა. როგორია რეიტინგები?***

– ძალიან კარგი მაჩვენებლებია.

***– ამბობენ, რომ რეიტინგმა დაიწია.***

– ვისმა რეიტინგმა დაიწია?!

***– თუნდაც თქვენმა.***

– რას მელაპარაკებით, ეს საიდან მოიტანეთ?! თუ ვინმეს რეიტინგი ეცემა კვირაში ხუთი პუნქტით, არის „ქართული ოცნება“, ხოლო თუ ვინმეს რეიტინგი იზრდება, არის სტრატეგია ალმაშენებელი და ჩვენი გუნდი. რას ლაპარაკობთ. ზუსტად კორონამდელ სიტუაციას ვუბრუნდებით. სექტემბერში ზუსტად ის ვითარება გვექნება, რაც იყო კორონამდე. ხალხი გამოვიდა ამ შოკიდან და დაინახეს, რომ უმძიმეს ვითარებაში აგდებს ქვეყანას „ქართული ოცნება“, პოლიტიკური მიზნებისთვის საზღვრებს არ ხსნის და დაამშიეს ყველა. ამდენი სამუშაო ადგილი დავკარგეთ. ერთადერთი საბაბი და საფუძველი ამ ყველაფერს აქვს პოლიტიკა და არჩევნები, მეტი არაფერი. აი, ამის გამო მშიერს ტოვებენ ხალხს.

***– მოლაპარაკება ოპოზიციაში მალე უნდა მოხდეს, რადგან დიდ გაურკვევლობაშია ოპოზიციის ამომრჩეველი.***

– კი ბატონო, ასეა. ოპოზიცია გაცილებით დიდ რამეზეა შეთანხმებული. ეს არის მაჟორიტარულ ოლქებში კოალიცია.

***– თუკი ვერ შეთანხმდით, ამასაც ხომ არ ემუქრება საფრთხე?***

– არა, არავითარ შემთხვევაში! ეს შეთანხმება არსებობს და ყველა საარჩევნო კამპანიას ეწევა. ამას არ ემუქრება საფრთხე, რას ამბობთ.

***– დარჩენილია ორი დიდი ოლქი – დიდუბე-ჩუღურეთი და საბურთალო, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა შეთანხმება. რატომ?***

– ვმუშაობთ ამ საკითხზე. ჩვენ ვნახულობდით სხვადასხვა პიროვნებებს, ვის ექნებოდა ინტერესი და აქაც ჩამოვყალიბდებით. სადღაც შეიძლება საერთო კანდიდატი იყოს, სადღაც ვიტყვით, რომ პირიქით, მოდი, კონკურენცია იყოს და ეს ვარიანტიც დავტოვოთ თბილისში. სტრატეგიულად სწორ გადაწყვეტილებას მივიღებთ აუცილებლად.

***– გამოკვეთილი არიან უკვე კანდიდატები?***

– გარკვეულ კანდიდატებზე არის საუბარი, თუმცა ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით. არ გამოვრიცხავ, რომ საბურთალოზე კონკურენტული გარემო იყოს და ყველამ დააყენოს თავისი კანდიდატურა.

***– თაკო ჩარკვიანს ხომ არ დაუჭერდით მხარს?***

– მე, რა თქმა უნდა, თაკო ჩარკვიანს ვუჭერ მხარს. თუ საერთო ოპოზიციური კანდიდატი იქნება, მაშინ დაგვჭირდება კონსულტაციები, მაგრამ, სავარაუდოდ, საბურთალოზე იქნება კონკურენტული გარემო და ძალიან საინტერესო იქნება, ერთი ოლქი მაინც დარჩეს ისეთი, სადაც რამდენიმე კანდიდატი იქნება, რომ აქაც განსხვავებული შესაძლებლობა მივცეთ ამომრჩეველს.

***– ბატონო გიორგი, დიდ ოპოზიციურ ერთობაზე საუბრობთ და ლეიბორისტული პარტია დამოუკიდებლად აპირებს არჩევნებში მონაწილეობას, ანუ ყველანაირ კონსულტაციას ეთიშებიან?***

– უკაცრავად, მაგრამ ლეიბორისტები ყოველთვის დამოუკიდებლად აპირებდნენ გასვლას. რატომ გაუჩნდა საზოგადოებას ეს ილუზია? საერთოდ ვის ჰქონდა ილუზია, რომ ლეიბორისტული პარტია სადმე საერთო სიაში აპირებდა შესვლას? მე მგონი, რაღაცა არასწორი წარმოდგენები შევიქმენით. ხომ გვესმის, რომ თანამშრომლობა არის მაჟორიტარული კუთხით, კონკურენცია არის პროპორციული კუთხით. და რატომ არის კონკურენცია პროპორციული კუთხით?! იმიტომ, რომ არ დაიკარგოს არც ერთი ოპოზიციური ხმა. არასდროს არც კი განხილულა არც ერთ ფორმატში, არც ერთ შეხვედრაზე, რომ ლეიბორისტული პარტია ვინმესთან ერთად საერთო სიას გააკეთებდა პროპორციული არჩევნებისთვის.

ეს არის რაღაცა ცრუ მოლოდინები. იმდენად ჩაგვიბეჭდა ძველმა საარჩევნო სისტემამ სხვანაირი სტერეოტიპები, რომ ვეღარ ვუყურებთ ამ პროცესს სხვანაირად.

***– ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციას არჩევნებში ცალ-ცალკე მონაწილეობა მხოლოდ დააზარალებს.***

– ვინ თქვა ეგ?! რომელი არჩევნები ჩაუტარებიათ მაგ ექსპერტებს, დასკვნებს რომ აკეთებენ?! არჩევნები წყლის ნაყვა ხომ არ არის, ხალხო?! ამას სჭირდება უზარმაზარი გამოცდილება! 2018 წლის მოდელს ვაკეთებთ, იმას, რაც იყო პირველ ტურში. და გაიხსენოს ყველამ, რომ 62% აიღო ოპოზიციამ ჯამში, 38% – ხელისუფლებამ. ახლა ხელისუფლება აიღებს მაქსიმუმ 30-32%-ს. ამის გარანტიას გაძლევთ. აი, ამ მოდელით გამარჯვების ფორმულა გვაქვს დახაზული.

***– ანუ სადაც მეორე ტური გახდება საჭირო, იქ ოპოზიცია იქნება ერთიანი?***

– მე გეუბნებით, რომ სადაც ერთიანი მაჟორიტარი კანდიდატები იქნებიან, პირველივე ტურში გავიმარჯვებთ, ხოლო სხვა ოლქებში გავიმარჯვებთ მეორე ტურში. აი, ეს არის ჩვენი სტრატეგია. თუ ვინმეს უმუშავია ამ საკითხებზე, სწორედ მე მიმუშავია ყველაზე მეტი. ეს არის გაერთიანების ახალი მოდელი, რომელზეც ვაგებთ ჩვენს სტრატეგიას, ხოლო პროპორციულ არჩევნებზე ისეთ კომპონენტებში გავდივართ, რომ ყველა ტიპის ოპოზიციურ ამომრჩეველს საკუთარი გემოვნების არჩევანი შევუქმნათ.

***– „ოცნებაზე“ რას იტყვით? კეთდება შეფასებები, რომ არ გამოიყურება ცუდად ოპოზიციის ფონზე. ექსპერტთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ოპოზიციამ სათანადოდ ვერ გათვალა ივანიშვილის შესაძლებლობები. ასეა?***

– რომელი ექსპერტი ამბობს ამას, მითხარით ერთი. მე ამ მოსაზრებაში არავის არ ვეთანხმები. ივანიშვილის შესაძლებლობებს ძალიან კარგად ვაფასებ და სიღრმისეულ ანალიზსაც ვუკეთებ. გამარჯვების ფორმულა უკვე მოხაზული მაქვს და აბსოლუტურად ყველას შევთავაზებ.

„ქართულ ოცნებაში“ ახლა არის სერიოზული ჭამა, ერთმანეთზე თავდასხმები და დარტყმები. ვერ ინაწილებენ ადგილებს. იციან, რომ საარჩევნო სიით იმდენი ვერ გავა, რამდენის მოლოდინიც ჰქონდათ. სიებზეც დაპირისპირება აქვთ, მაჟორიტარებზეც. კალაძის გუნდი გახარიას ურტყამს, გახარიას გუნდი შს სამინისტროს ერჩის. ისინი მერე ბიძინას ერჩიან და, მოკლედ, დიდ კატასტროფაში არიან.

მათი ლიდერი კი პირდაპირ შეხვედრასაც არ კადრულობს, ეკრანებიდან ელაპარაკება საკუთარ თანაგუნდელებს. ხომ ხვდებით, რა დონემდეა ეს ყველაფერი მისული.

# ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი პაატა ბურჭულაძე იქნება?



2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი, შესაძლოა, პაატა ბურჭულაძე იყოს.

როგორც 2020 ნიუსს ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, პაატა ბურჭულაძეს სიის პირველი ნომრობა უკვე შესთავაზეს, თუმცა მას გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტოს ნაციონალურ მოძრაობაში განუცხადეს, რომ კონსულტაციები ბევრი მიმართულებით მიმდინარეობს, მათ შორის პაატა ბურჭულაძესთანაც.

პაატა ბურჭულაძემ ჯერ კიდევ 2016 წელს საკუთარი პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ დააარსა, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, მაგრამ პარტიამ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# იქნება თუ არა ფართომასშტაბიანი ომი კავკასიაში?

## „რუსეთს აწყობს, რომ არც ომი იყოს და არც მშვიდობა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს მოსახლეობა ამ დღეებში მოახლოებული არჩევნების, ეკონომიკური ვარდნისა და კორონავირუსის მეორე ტალღის გარდა, რეგიონში სტაბილურობის საკითხმაც ააღელვა. სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოს მეზობლები არიან და მათ შორის საზღვარზე დაწყებული ორმხრივი ინტენსიური სროლები მოქმედებს საქართველოზე და მთლიანად კავკასიის რეგიონზე.

დაძაბულობის გაღვივებას, რომელსაც ორივე მხრიდან მოჰყვა მსხვერპლი, მხარეები ერთმანეთს აბრალებენ. ბაქოსა და მთიან ყარაბაღში გაისმის მოხალისეთა რაზმების შექმნის მოწოდებები. ჯერჯერობით „ფრონტის“ წინა ხაზზე სამხედროები არიან.

საკუთარი არმიის მხარდასაჭერად ბაქოში სტიქიურად გამოსული ხალხი დაშალეს. ბაქოელი უფლებადამცველების ინფორმაციით, ეს პროვოკაციის შედეგია: პროვოკატორებმა ადამიანებს მელიმეჯლისის შენობაში შეჭრისკენ მოუწოდეს.

კავკასიელი პოლიტოლოგები რეგიონში ფართომასშტაბიან ომს არ პროგნოზირებენ. მათი ვარაუდით, დაძაბულობა შენელდება, სრული დეესკალაცია კი მოსალოდნელი არ არის.

აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე დაწყებული მოვლენების გამო შეშფოთება გამოხატეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მათ შორის,




გაერომ, ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და რუსეთის საგარეო უწყებამ.

თურქეთმა აზერბაიჯანის მიმართ მხარდაჭერა გამოხატა. რუსი ექსპერტები მიანიშნებენ, რომ აზერბაიჯანისგან განსხვავებით, დაუცველი აღმოჩნდა სომხეთი. მათი შეფასებით, მართალია, სომხეთი არის უსაფრთხოების რეგიონული ორგანიზაცია ოდკბ-ს წევრი, მაგრამ მას ამ ორგანიზაციის იმედი არ უნდა ჰქონდეს, იმიტომ რომ ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სომხეთს ამ ორგანიზაციასთან და რუსეთთან ურთიერთობა გაუცივდა. სომხეთში იყო გამოსვლები რუსული ბაზის გაყვანის მოთხოვნითაც კი. რუსეთი სომხეთს გვერდით არ დაუდგება. მოსკოვს აზერბაიჯანთან ნორმალური ურთიერთობა აქვს. ბაქო რუსულ იარაღს ყიდულობს. რუსი პოლიტოლოგები სომხეთს ურჩევენ, თავის პრიორიტეტებს გადახედოს, მოსკოვის შანტაჟს თავი დაანებოს და მაშინ მარტო აღარ იქნება.

ყარაბაღელი პოლიტოლოგი დავიდ ბაბაიანი აცხადებს, რომ ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღების შესაძლებლობას ყველა სერიოზულად უნდა მიუდგეს. ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიც კავკასიაა, ომის დაწყება ძალიან სარისკოა. ასეთ ომს წანამძღვრები სჭირდება. ომისათვის საბაბია გეოპოლიტიკური ვაკუუმი. ამგვარი ვაკუუმი შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. თუ ამჟამად რომელიმე მხარე გეოპოლიტიკურ ბალანსს არღვევს, მაშინ იქმნება საფრთხე. თუ სომხეთი არასწორად მოქცევა, მაშინ მას მოუხდება შეჯახება არა მხოლოდ აზერბაიჯანთან, არამედ, მასზე უფრო მძლავრ ქვეყნებთან.

ამის შედეგად გადაიხედება კავკასიაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ბალანსი.

იმაში, რომ დასავლეთს შეუძლია გავლენის მოხდენა ახლანდელი კონფლიქტის განმუხტვაზე, ეჭვი ეპარებათ როგორ სომეხ, ისე აზერბაიჯანელ ექსპერტებს.

— დასავლური სტრუქტურების შესაძლებლობები აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე დაძაბულობის დეესკალაციის მიზნით შეზღუდულია, — აცხადებს ბაქოელი პოლიტოლოგი ზარდუშტ ალიზადე.

მისი თქმით, დასავლეთს არ გააჩნია ყარაბაღის კონფლიქტზე ზემოქმედების რეალური ბერკეტები. მისი წარმომადგენლების მოწოდებები დეესკალაციის თემაზე ატარებს რიტუალურ ხასიათს. გაეროს რომ რამე შეეძლოს, ის დიდი ხნის წინ უზრუნველყოფდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 4 რეზოლუციის შესრულებას. ეს რეზოლუციები, მისი თქმით, მოითხოვს აზერბაიჯანული ტერიტორიებიდან სომხეთის ძალების გაყვანას.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დასავლეთი აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ სანქციებს არ დააწესებს და დიპლომატიური ნაბიჯებით შემოიფარგლება.

ექსპერტი ჰიქმეთ ჰაჯიზადე აღნიშნავს, რომ მოსკოვისთვის დიდი ომი კავკასიაში სასურველი არ არის. რუსეთს აწყობს, რომ რეგიონში არც ომი იყოს და არც მშვიდობა. ეს რუსეთს საშუალებას აძლევს, ორივე მხარე თავის განკარგულებაში ჰყავდეს. მომავალში, როცა მოსკოვი ჩათვლის, რომ აზერბაიჯანიცა და სომხეთიც საბოლოოდ გამაგრდა მის ორბიტაზე, მათ მშვიდობას აიძულებს. რუსეთი მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც თვითონ აწყობს და რომელიც არ შეეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ექსპერტის აზრით, ბოლო დროს კავკასიაში დასავლეთის გავლენა შემცირდა. თუ სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდა, დასავლეთი ამას ვერ შეაჩერებს.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# „ოცნება“ არჩევნებში 35%-მდე აიღებს“

ტერორთან არის დაკავშირებული, რაც მართალი არ არის. ასეთ ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი და ეს უნდა ვაღიაროთ, მაგრამ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა.

***— ახლა, როდესაც გაიზარდა ნაცმოძრაობის რეიტინგი, ამის მიზეზი ბიძინა ხომ არ არის? ხომ არ ხდება ბიძინასა და მიშას შედარება და ხომ არ გამოჩნდა, რომ ბიძინას ისევ მიშა ურჩევნიათ?***

— ბიძინასა და მიშას შედარებაც შეიძლება მოხდა. მიხეილ სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი და როგორც სახელმწიფო მოღვაწე, გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი. შეიძლება, ივანიშვილი კარგი ბიზნესმენი იყო ზოგისთვის და იმიტომაც დააგროვა 5 მილიარდი, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ხედავს, რომ მისი ამ ქონების მიუხედავად, ეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითად არ ასახულა. აქედან გამომდინარე, არიან ადამიანები, რომლებიც საუბრობენ იმაზე, რომ ისევ სააკაშვილი ჯობდა, სახელმწიფო მოღვაწე იყო.

ბევრი ადამიანი იმასაც კი ფიქრობს, რომ ის ბიზნესმენიც არ არის. საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა ტერმინი „ბელეთი“. მას უწოდებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდნენ. ტერმინი ბიზნესმენი უკვე 1990-იანი წლებიდან დაინერგა. მას ასევე ეძახიან ოლიგარქს ანუ მეწარმეს, რომელიც შეზრდილია სახელმწიფოსთან. თავის დროზე არისტოტელე და პლატონი მიიჩნევდნენ, რომ ოლიგარქია სახელმწიფო მმართველობის ყველაზე მახინჯი ფორმა გახლდათ.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა ივანიშვილის მმართველობისას, ამიტომ ბევრი თვლის, რომ ის არ არის რეალური სახელმწიფო მოღვაწე და ამიტომაც დაეცა „ოცნების“ და გაიზარდა ნაცმოძრაობის რეიტინგი. ნაცმოძრაობას სტაბილური ამომრჩეველი ჰყავდა და ის შეადგენდა 20%-ს. 2013 წელს დავით ბაქრაძემ, რომელიც ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი იყო, 22% მიიღო, 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებში – 27%, 2018 წელს მეორე ტურში გრიგოლ ვაშაძემ თითქმის 800.000 ხმა მიიღო.

***— გიყვართ ხოლმე პროგნოზების გაკეთება და საპარლამენტო არჩევნებისთვის როგორ პროგნოზებს გააკეთებდით?***

— ბევრი რამეა დამოკიდებული, რა ტიპის წინასაარჩევნო კამპანიას ჩაატარებს „ოცნება“ და რა ტიპისას – ნაცმოძრაობა. რამდენად სამართლიანად ჩატარდება, იქნება თუ არა გაყალბება და ა.შ. ჩემი აზრით, შესაძლებელია, პროპორციული არჩევნების შედეგად „ოცნებამ“ მოუგოს ნაცმოძრაობას ისევ და ისევ საჯარო სტრუქტურების ხარჯზე, რომელთა რაოდენობაც 300.000-მდეა. შესაძლებელია, „ოცნებამ“ 35%-მდე მიიღოს და ოდნავ გაასწროს ნაცმოძრაობას, მაგრამ ასევე აიღებენ გარკვეული რაოდენობის ხმებს „ევროპული საქართველო“, „ლელო“ და სხვა პარტიები. ჯამში, ოპოზიცია დაამარცხებს ხელისუფლებას.

***— ქუჩის ფაქტორიც ხომ არ იქნება?***

— რა თქმა უნდა, იქნება. როდესაც ვთქვი, რომ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, სწორედ ეს საკითხები მქონდა მხედველობაში.

# სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მონტენეგროში — როგორია კრემლის მიერ მართული ბიზნესმენის დერიპასკას როლი ამ საქმეში



მსოფლიო პანდემიის ფონზე რუსეთში ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვან ზღვარს მიაღწია. მსხვილი კომპანიები ზარალზე გადიან, რასაც ახლახან რუსული კორპორაცია „ნორნიკელის“ მიერ მილიონობით დოლარის დაკარგვის ფაქტიც დაემატა. 29 მაისს ქალაქ ნორილსკში მდებარე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმოს რეზერვუარიდან 21 ათასი ტონა დიზელი ადგილობრივ მდინარეებსა და გრუნტში ჩაიქცა. ექსპერტებმა ამ ტექნოგენურ ავარიას ატლანტის ოკეანისთვის უდიდესი ზიანის მომტანი კატასტროფა უწოდეს. „როსპრიროდნადზორმა“ ეკოლოგიისთვის მიყენებული ზარალი 149 მილიარდ რუბლად შეაფასა. არადა, „ნორნიკელისა“ და მსგავსი გიგანტების გამართულად მუშაობას კრემლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მიზეზი არა მხოლოდ ეკონომიკის გაძლიერებაა. „ნორნიკელის“ აქციების დიდი ნაწილის მფლობელი არა მხოლოდ მილიარდერი ვლადიმერ პოტანინია, არამედ „რუსალის“ ხელმძღვანელი ოლეგ დერიპასკა, რომელსაც მრავალი წელია, ვლადიმერ პუტინი საკუთარი პოლიტიკური ძალის განსამტკიცებლად იყენებს. ყველასთვის ცნობილია, რომ პუტინს დაახლოებული ბიზნესმენები არა მხოლოდ ჯიბის გასამდიდრებლად, არამედ სხვადასხვა ქვეყანაზე პოლიტიკური გავლენის მოსახდენად ჰყავს. თავისი მავნე მიზნების მისაღწევად კრემლი ჰიბრიდული ომის ყველა ხერხს იყენებს, მათ შორის მედიაპროპაგანდას, რელიგიურ და ეთნიკურ საკითხებზე მანიპულირებას, სპეცსამსახურების ჩართულობასა და, რა თქმა უნდა, ინვესტიციებს.

**კრემლის მიერ ეკონომიკური ექსპანსიის მრავალწლიანი გამოყენების მაგალითად ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე პატარა მონტენეგროს ისტორიაც გამოგვადგება.**

მილენიუმის დასაწყისში „ახალი რუსები“ ევროპისკენ დაიძრნენ. ჯერ კიდევ მაშინ მონტენეგრო თავისი სლავური კავშირების წყალობით რუსეთის განსაკუთრებული ზრუნვის ქვეშ იმყოფებოდა. ამ პერიოდში რუსმა ბიზნესმენებმა მონტენეგროში დიდძალი ინვესტიციები ჩადეს. თვალწარმტაცი ბუნებითა და ლამაზი ზღვისპირეთით გამორჩეული ეს პატარა მთაგორიანი ქვეყანა ყველა ჯურის „ახალი რუსისთვის“ გემრიელი ლუკმა აღმოჩნდა. სწორედ ამ პერიოდში ოლეგ დერიპასკამ მონტენეგროში ალუმინის კომბინატი შეისყიდა, თუმცა 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს საწარმოს ვალები დაუგროვდა და წაგებაში წავიდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დერიპასკასა და სხვა რუს ბიზნესმენს სურდათ, მოგება არა მხოლოდ პირდაპირი ინვესტიციებისგან მიეღოთ, არამედ მონტენეგრო ფულის გათეთრებისთვის გამოეყენებინათ. 2013 წლისთვის ალუმინის კომბინატის გაკოტრების პროცესი დაიწყო. მისი დავალიანება დაახლოებით 350 მილიონი ევრო იყო და მონტენეგროს ხელისუფლებამ იქ საკუთარი მმართველი შეიყვანა. 2014 წელს დერიპასკამ მონტენეგროს ხელისუფლებას უჩივლა, თუმცა შედეგს ვერ მიაღწია, შემდეგ საერთაშორისო არბიტ-



რაჟს მიმართა და კომპენსაციის სახით 600 მილიონი ევროს დაკისრება მოითხოვა. 2019 წელს მონტენეგროს პროკურატურამ მსოფლიოს დიდი გამარჯვების შესახებ ამცნო – საერთაშორისო არბიტრაჟმა რუსი ბიზნესმენის სარჩელის დაკმაყოფილებაზე კომპენსაციის დაკისრების შესახებ უარი თქვა.

ამ ბიზნესდავის არსებობის პარალელურად, მონტენეგრომ დაინახა, რომ დასავლეთთან სიახლოვე ბევრად დიდი წინსვლისა და წარმატების მომტანია. ნელ-ნელა პოდგორიცასა და მოსკოვის ურთიერთობა დაიძაბა, თანაც რუსი ოლიგარქების საყვარელი პატარა სამოთხე უკვე არცთუ ისე ღია და ხელწამოსაკრავი აღმოჩნდა. 2015 წელს მონტენეგროს ხელისუფლებამ ნატოში ინტეგრაციის პროცესი დაიწყო. ამ განაცხადზე მოსკოვის რეაქცია უკვე მაშინ მწვავე აღმოჩნდა. **„ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის ექსპანსიამ აღმოსავლეთისკენ, რა თქმა უნდა, რუსული მხარის საპასუხო ნაბიჯები არ შეიძლება, არ გამოიწვიოს“,** – განაცხადა პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა. და ეს არ იყო მხოლოდ სიტყვები – დაიწყო როგორც რუსული „კულტურულ-საგანმანათლებლო“ ორგანიზაციების გააქტიურება, ასევე რუსი ბიზნესმენების გამოყენე-



ბა საკუთარი ინტერესების შესაბამისად, თანაც ძალიან საშიში ფორმებით.

მონტენეგროს ევროატლანტიკური კურსის შესაცვლელად კრემლმა ყველაფერი გააკეთა. რუსეთის საგარეო დაზვერვის ოფიცრების მიერ შემუშავებული გეგმით სერბმა ნაციონალისტებმა და მონტენეგროს ოპოზიციის ნაწილმა 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს პარლამენტის შენობის დაკავება, პრემიერ-მინისტრ მილო ჯუკანოვიჩის ლიკვიდაცია და პრორუსული ხელისუფლებას მოყვანა გადაწყვიტეს. 16 ოქტომბერს, პარლამენტის არჩევნების დღეს, პოლიციამ 20 ადამიანი დააკავა, რომლებიც პუტჩის მოწყობაში იყვნენ მხილებულნი. მალევე პროკურატურამ ამ დანაშაულის აქტიური შემოქმედები დაასახელა. ესენი რუსეთის მოქალაქეები ედუარდ შიროკოვი და ვლადიმერ პოპოვი არიან. მონტენეგროს სამართალდამცველების განცხადებით, ამ ადამიანებმა მეზობელი სერბეთის მკვიდრს, ალექსანდრ სინჯელიჩს, 200 ათასი დოლარი იმისთვის გადაუხადეს, რომ მონტენეგროში სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო და პრემიერიც მოეკლა. ამის შესახებ საგანგებო ბრიფინგზე მთავარმა პროკურორმა მილივოე კატნიჩმა განაცხადა და




შესაბამისი მტკიცებულებებიც გაასაჯაროვა. დამნაშავეების გეგმით, ქვეყნის მართვას ერთ-ერთი ოპოზიციური პარტია – დემოკრატიული ფრონტი ჩაიგდებდა ხელში და საბოლოოდ აიძულებდა მონტენეგროს, ნატოში გაწევრიანებაზე უარი ეთქვა. როგორც მაშინ გაირკვა, დემოკრატიული ფრონტი თავიდან ბოლომდე რუსი ბიზნესმენის ფულით იყო შექმნილი და მათი მასშტაბური საარჩევნო კამპანიაც რუსეთიდან ფინანსდებოდა. გავრცელებული ცნობებით, ამ სპონსორობისა და ასევე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის უკან არა უბრალოდ ვინმე პოპოვი და შიროკოვი, არამედ სწორედ ოლეგ დერიპასკა და ГРУ-ს ყოფილი ოფიცერი ვიქტორ ბოიარკინი იდგნენ.

ოპოზიციის დაფინანსებამ და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა – 2017 წელს მონტენეგრო ნატო-ს 29-ე წევრი გახდა. 2017 წლის ივნისში მონტენეგროს სასამართლომ დანაშაულებრივ სქემაში ჩართულ პირებს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. რუსეთის ГРУ-ს ორი თანამშრომელი მონტენეგროში დაუსწრებლად გაასამართლეს.

ოლეგ დერიპასკას დღესაც უახლოესი კავშირი აქვს კრემლთან და ამ კავშირისგან უდიდეს სარგებლობას იღებს, იმის მიუხედავად, რომ აშშ-ის მიერ სანქცირებულთა სიაში მოხვდა. კრემლში იციან, რომ ის და სხვა რუსი ბიზნესმენები თავიანთ მილიონებს კრემლის გავლენების განმტკიცებაში კვლავ დახარჯავენ. დერიპასკა მონტენეგროში დამარცხდა, თუმცა ის ყოველთვის ეცდება, იგივე გააკეთოს სხვაგანაც, რადგან კრემლის მიზნები არ იცვლება. ვლადიმერ პუტინი ხომ ყოველთვის მოსთხოვს თავის მარიონეტსა და ძველ მეგობარ ბიზნესმენს, ნებისმიერ იმ ქვეყანაში დახარჯოს მილიონები, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირისკენ მიისწრაფვიან.

კობა დიდებაშვილი

# „გიორგი შაქარაშვილს მარიამ ხატისკაცი მოსწონდა და დაბადების დღეზე იმიტომ წავიდა“

## ლუკა გოგავას ჩვენება

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე მოწმის სახით გამოკითხული მეგობრის, ლუკა გოგავას ჩვენების მიხედვით, გიორგი შაქარაშვილს მცხეთაში, დაბადების დღეზე მყოფი ერთ-ერთი გოგო, მარიამ ხატისკაცი მოსწონდა. ეს ჩვენება „ინტერპრესნიუსმა“ მოიპოვა.

როგორც გოგავა ჩვენებაში ყვება, შაქარაშვილი დაბადების დღეზე წასასვლელად რამდენიმე დღე სწორედ იმის გამო ემზადებოდა, რომ იქ ხატისკაცის ნახვას შეძლებდა. გოგავას თქმით, შაქარაშვილს ხატისკაცთან გარკვეული პრობლემა ჰქონდა, ვინაიდან გოგოს ის აღარ მოსწონდა.

გარდა ამისა, როგორც გოგავა ჩვენებაში აღნიშნავს, გური ამირხანაშვილისგან გაიგო, რომ დაბადების დღეზე სიტუაცია დაძაბული იყო, რადგან „ბიჭებს სურდათ თავიანთი დომინანტობის წარმოჩენა გოგოების წინაშე“. მისივე თქმით, ამირხანაშვილი ასევე საუბრობდა დაბადების დღეზე მყოფი დიჯეის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებასა და მიმართვებზე.

„ჩემი უახლოესი მეგობრები არიან გურამ ამირხანაშვილი, ოლეგ ბობოხიძე და აწ განსვენებული გიორგი შაქარაშვილი. ჩვენ ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, სკოლის პერიოდიდან... ბევრ დროს ვატარებდით ერთად და ერთმანეთის ბევრი საიდუმლო ვიცოდით. მე, გურამ ამირხანაშვილი, ოლეგ ბობოხიძე და აწ გარდაცვლილი გიორგი შაქარაშვილი. გარდა ახლო მეგობრობისა, ასევე ერთი უბნელებიც ვიყავით. ჩვენს უბანში, ვაზისუბნის დასახლებაში ცხოვრობენ მარიამ ხატისკაცი, ლიზი ნადირაძე და ლიზი ქსოვრელი, რომლებიც, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მოცეკვავეები არიან და ცეკვავენ „ქვინ დენს სტუდიოში“. გიორგი შაქარაშვილი 2018 წლის შემდეგ მეგობრობდა მარიამ ხატისკაცთან. ისინი ხშირად დადიოდნენ ხოლმე ერთად. 2020 წლის მაისის დასაწყისში, ზუსტი დრო არ მახსოვს, გიორგი შაქარაშვილმა მე და ოლეგ ბობოხიძეს გვითხრა, რომ მოსწონდა მარიამ ხატისკაცი და მასთან აყალიბებდა სასიყვარულო ურთიერთობას. ასევე გვითხრა, რომ მოწონება ორმხრივი იყო და მარიამ ხატისკაცსაც მოსწონდა იგი. მოკლედ, ორმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ. მარიამ ხატისკაცისა და გიორგი შაქარაშვილის ურთიერთობის შესახებ გურამ ამირხანაშვილმა მოგვიანებით გაიგო, რამდენადაც მე ვიცი, ვინაიდან იგი ჩვენთან ერთად არ იყო იმ დროს, როდესაც გიორგიმ მე და ოლეგს გვითხრა ამის შესახებ.

2020 წლის მაისის ბოლოსკენ, ზუსტი რიცხვი არ მახსოვს, მე ვიყავი სახლში, როდესაც ჩემთან მოვიდნენ გიორგი შაქარაშვილი და ოლეგ ბობოხიძე. ჩვენ ეზოში ვმოძრაობდით და თან ვსაუბრობდით, როგორც ყოველთვის. გიორგიმ დაიწყო საუბარი და მითხრა, „ვერ დაიჯერებ, რა მოხდა“, რის შემდეგაც მე დავინტერესდი, თუ რა მოხდა და დავუსვი მას კითხვა, რაზედაც გიორგიმ მიპასუხა, მარიამ ხატისკაცმა მომწერა, აღარ მომწონხარო, თან ოლეგ ბობოხიძის ტელეფონში გახსნა თავისი „ფეისბუქი“ და მაჩვენა მარიამ ხატისკაცისგან გამოგზავნილი შეტყობინება. რამდენადაც მახსოვს, შეტყობინებაში ეწერა: „მგონი, აღარ მომწონხარ“. გიორგის პასუხის ფორმულირება აღნიშნულ შეტყობინებაზე მე ზუსტად არ მახსოვს, თუმცა შინაარსობრივად იგი გაოცებას გამოხატავდა მარიამის შეტყობინებაზე და შემდეგში მისი ნახვა უნდოდა სიტუაციაში გასარკვევად. მე, ოლეგ ბობოხიძემ და გიორგი შაქარაშვილმა ის დღე ერთად გავატარეთ, ვსაუბრობდით, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ მარიამ ხატისკაცი გიორგის დაშორდა.

2020 წლის ივნისის შუა რიცხვები იქნებოდა, როდესაც მე გიორგისგან გავიგე, რომ იგი და გურამ ამირხანაშვილი დაპატიჟებულები იყვნენ ვინმე ანი გაბეჩავას დაბადების დღეზე, რომელიც რამდენადაც გავიგე, ასევე „ქვინ დენს სტუდიოს“ მოცეკვავე იყო და მარიამ ხატისკაცის, ლიზი ნადირაძისა და ლიზი ქსოვრელის სამეგობრო წრიდან იყო, ოღონდ ეს დეტალი ზუსტად არ ვიცი. ზოგადად, გიორგის საუბრიდან შემექმნა ასეთი წარმოდგენა. გიორგი დაბადების დღემდე რამდენიმეჯერ ვნახე, იგი გახარებული იყო და ემზადებოდა დაბადების დღეზე წასასვლელად. ზოგადად, გიორგი ასეთ საკითხებთან მიმართებაში ძალიან პედანტური იყო, ამ დაბადების დღეზე წასასვლელადაც რამდენიმე ხნით ადრე დაიწყო მზადება, რაც გამოიხატებოდა წინასწარ ტანსაცმლის შერჩევაში, ტრანსპორტის ხარჯების შეგროვებაში და ა.შ. 18 ივნისს, შუადღის საათებში, გიორგიმ დამირეკა ოლეგის მამის ტელეფონის ნომრიდან და მთხოვა, მისთვის მეთხოვებინა ჩემი ჩანთა. მე საკუთრებაში მქონდა მცირე ზომის, მუქი ლურჯი ფერის, წელზე შემოსახვევი ჩანთა, „ბარსეტკა“, რომელიც მთხოვა გიორგიმ, რომ მისთვის მეთხოვებინა.



2020 წლის 19 ივნისს, დილის საათებში, ზუსტი დრო არ მახსოვს, ალბათ, 11-12 საათი იქნებოდა, როდესაც მე „ფეისბუქზე“ მომივიდა შეტყობინება ჩემი მეგობრის ოლეგ ბობოხიძისგან, რომელშიც ეწერა: „ბიჭო, შაქარა დაიკარგა, გუშინ ღამის მერე არ გამოჩენილა“. შეტყობინების წაკითხვის შემდეგ მე დავურეკე ოლეგს და ვესაუბრე დეტალებში გასარკვევად. საუბრის დროს ოლეგიმ მითხრა, რომ დაბადების დღეზე ჩხუბი მოხდა, რომელშიც გიორგის მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. მისი განმარტებით, იგი გიორგის ნათესავებთან ერთად მცხეთაში იმყოფებოდა, რაზეც მე დავუკავშირდი გიორგის ნათესავს, მიხეილ ონაშვილს, ლავრენტი ჯალაღონიას და ჩემს მეგობარს ალეკო ნავროზაშვილს. ჩვენ შევიკრიბეთ და წავედით მცხეთაში. ადგილზე იყვნენ გიორგის ოჯახის წევრები და ნათესავები, ასევე ჩვენი მეგობარი ოლეგ ბობოხიძე. გურამ ამირხანაშვილი ამ დროისთვის პოლიციის შენობაში იყო. მე ოლეგ ბობოხიძისგან გავიგე, რომ ღამით, დაახლოებით, 2 საათისკენ, გურამ ამირხანაშვილმა მიწერა მას, რომ დაბადების დღეზე ჩხუბი მოხდა, ის და გიორგი შაქარაშვილი არაფერ შუაში იყვნენ, გვიან ლისზე მიდიოდნენ, რა დროსაც მანქანა მოვიდა, უმიზეზოდ დაუწყეს ჩხუბი, რის შემდეგაც აღნიშნული ავტომობილის მგზავრებმა გურამი ჩაისვეს ავტომობილში, გიორგი შაქარაშვილი კი გაიქცა.

გიორგის ძებნის პროცესში მე კომუნიკაცია მქონდა გურამ ამირხანაშვილთან. ვეკითხებოდი დაბადების დღეზე მომხდარი ფაქტების შესახებ, რაზედაც იგი მიყვებოდა შემდეგ ისტორიას: დაბადების დღეზე გიორგი შაქარაშვილი და გურამ ამირხანაშვილი მივიდნენ დაგვიანებით, დაახლოებით 10 საათის შემდეგ. ადგილზე მისულებს იქ მყოფები უკვე ნასვამ მდგომარეობაში დახვდათ. მისივე გადმოცემით, სიტუაცია დაბადების დღეზე მყოფ ხალხს შორის დაძაბული იყო, რის მიზეზადაც გურამი ასახელებდა ადგილზე მყოფ გოგოებს. რამდენადაც მე გავიგე, ბიჭებს სურდათ თავიანთი დომინანტობის წარმოჩენა გოგოების წინაშე, მეორე მიზეზად კი ასახელებდა, დაბადების დღეზე მყოფი დიჯეის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებასა და მიმართვებს.

დაძაბულობა მალე გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში, რომელშიც საბურთალოელებმა დაჩაგრეს ნახალოვკელები, რის შემდეგაც დაჩაგრული ნახალოვკელები ადგილიდან წავიდნენ. ადგილზე დარჩენილებმა კი გადაწყვიტეს ლისზე წასვლა და დაბადების დღის აღნიშვნის იქ გაგრძელება. ავტომობილებით მყოფებმა ჩაისვეს გოგოები და წაიყვანეს ლისზე, დარჩენილებმა კი გზაზე გასვლა და სხვა ტრანსპორტით ჩამოსვლა გადაწყვიტეს თბილისში. გურამის გადმოცემით, 5-6 ადამიანი მოძრაობდა გზაზე ფეხით. გადმოკვეთეს არაგვზე არსებული ხიდი, რა დროსაც მათ წამოეწიათ ავტომობილი, რომლიდანაც გადმოვიდა რამდენიმე პიროვნება და დაუწყეს მათ ცემა, რაზეც გურამი და გიორგი შაქარაშვილი სხვებთან ერთად გაიქცნენ ადგილიდან, შემდეგ კი მობრუნდნენ უკან, მივიდნენ იქ მყოფ პირთან, რომელიც მანამდე მათთან ერთად მოძრაობდა და ნაცემი იყო. ამ დროს, მეორე ავტომობილი მოვიდა, შეჩერდა მათ წინ, იქიდანაც რამდენიმე ადამიანი გადმოვიდა და გაემართნენ მათკენ. გურამი, გიორგი შაქარაშვილი და მათი თანმხლები პირები ისევ გაიქცნენ ხიდის მიმართულებით.

გურამის გადმოცემით, ის ხიდის მეორე მხარეს გადავიდა სირბილის დროს, იგი კი უკან მიყვებოდა გიორგი შაქარაშვილს. ხიდის ბოლოში გზასთან არსებული მცირე ზომის შენობა დაინახა და იმის უკან გადაწყვიტა დამალულიყო. შაქარაშვილი კი, ბოლო მომენტში, როდესაც დაინახა, ხიდის ქვეშ ჩამავალ ვიწრო გზაზე ჩარბოდა. გურამი მდევრებმა მალევე იპოვეს, ჰკითხეს, თუ სად წავიდნენ დანარჩენები, რაზეც გურამმა უპასუხა, რომ არ იცოდა, შემდეგ კი ჩასვეს ავტომობილში და წამოიყვანეს მისი ნების საწინააღმდეგოდ. მისივე გადმოცემით, იმ ეპიზოდში შეეშინდა, რომ არ ეცემათ და ამიტომ ჩაჯდა ავტომობილში.

22 ივნისს, პოლიციამ გიორგის გვამი აღმოაჩინა მდინარე არაგვში, რაც მე საეჭვოდ მეჩვენა, ვინაიდან გიორგიმ ცურვა არ იცოდა და ზოგადად, ერიდებოდა წყალს, მდინარეს. მე დარწმუნებული ვარ, იგი მდინარეში არ ჩავიდოდა. მთელი ბავშვობა მასთან ერთად მაქვს გატარებული და კარგად ვიცნობ.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე წარმოდგენა არ მაქვს, რის გამო დაშორდა მარიამ ხატისკაცი გიორგი შაქარაშვილს, არ ვიცი სხვა ვინმესთან აქვს თუ არა ურთიერთობა, ასევე არ ვიცი, სხვა პირს უყვარს თუ არა მარიამ ხატისკაცი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, იმყოფებოდა თუ არა იგი 2020 წლის 18-19 ივნისის ღამეს მცხეთაში.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მე არ ვიცი, ვინ დაპატიჟა გიორგი შაქარაშვილი. მგონია, რომ მარიამ ხატისკაცი, ლიზი ნადირაძე და ლიზი ქსოვრელიდან ერთ-ერთმა, უფრო ლიზი ნადირაძე მგონია. მგონი, ასე მოვისმინე ვიღაცისგან, ოღონდ, სად და როდის, არ ვიცი. გიორგისგან მე მხოლოდ ვიცოდი, რომ ანი გაბეჩავა იყო მარიამ ხატისკაცის, ლიზი ნადირაძისა და ლიზი ქსოვრელის დაქალი და მათი მხრიდან მიდიოდა დაბადების დღეზე.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ გიორგი შაქარაშვილს არ ჰქონდა მობილური ტელეფონი, მან 2020 წლის გაზაფხულზე გაყიდა მისი კუთვნილი „სამსუნგის“ ფირმის „გალაქსი ეს 8“, ვინაიდან, მისი გადმოცემით, ტელეფონს დიდ დროს უთმობდა და მის გარეშე უფრო კომფორტულად იგრძნობდა თავს“, – აცხადებს ლუკა გოგავა ჩვენებაში.

# დავით ცინარიძე 30.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

ოჯახური ძალადობის ბრალდებით დაკავებული საპატრულო პოლიციის ყოფილი უფროსი დავით ცინარიძე 30.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.



როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ცინარიძის ადვოკატმა კახა ხვისტანმა აღნიშნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობა დაცვის მხარემ დააყენა, რასაც პროკურატურა არ დაეთანხმა.

– რა არგუმენტაციაც სასამართლოში აქამდე გვქონდა, იგივე პოზიცია დავაფიქსირეთ. მაშინაც და ახლაც ვამბობთ, რომ დავით ცინარიძეს არ შეიძლებოდა, ამ ბრალდებით შერჩეოდა საერთოდ აღკვეთის ღონისძიება. აღკვეთის ღონისძიება ადამიანის დასჯის მიზნით არ გამოიყენება, ის სასჯელი არ არის. აღკვეთის ღონისძიება კონკრეტული მიზნით გამოიყენება, რომ პირი არ მიიმალოს, ხელი არ შეუშალოს გამოძიებას და მტკიცებულებები არ გაანადგუროს. არც ერთი საფრთხე დავით ცინარიძის მხრიდან არ არსებობს.

პროკურატურა ჩვენს შუამდგომლობას არ დაეთანხმა, იგივე პოზიცია დაიჭირა, ბრძანა, რომ არ არსებობდა ახალი გარემოება, რის გამოც მის მიმართ აღკვეთის ღონისძიება უნდა შეცვლილიყო. მართალია, ძალიან მძიმედ, ძალიან რთულად მივდივართ იმ გზამდე, რასაც დავით ცინარიძის სრული გამართლება ჰქვია წარდგენილ ბრალდებაში, მაგრამ საზოგადოებამ დაიცადოს ცოტა ხანი და როგორც ახლა გათავისუფლდა, ისე გამოვა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი. ამის თქმის საფუძველს საქმეში არსებული ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გვაძლევს, რომელიც ვერანაირად ვერ შეკრავს იმ სტანდარტს, რაც პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად არის საკმარისი, – განაცხადა ხვისტანმა.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე სულხან სალაძის განცხადებით, ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოლიტიკა მკაცრი უნდა იყოს. მან მედიასთან დავით ცინარიძის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე გააკეთა კომენტარი და განმარტა, რომ მსგავსი ფაქტები შესაძლოა, წამახალისებელი იყოს.

– ზოგადად უნდა ვთქვათ, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე სახელმწიფოს პოლიტიკა, როგორც საგამოძიებო ორგანოების, ასევე პარლამენტის, საკანონმდებლო დონეზე მკაცრი უნდა იყოს. ნებისმიერი ტიპის რაიმე ფორმით ისეთი პარალელის გავლება, რომელიც აძლევს პირებს საშუალებას, რომ მან შემდგომში დანაშაული ჩაიდინოს ან წაახალისოს, ეს მხოლოდ გააუარესებს მდგომარეობას ქვეყანაში, – განაცხადა სალაძემ.

სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას თქმით, დავით ცინარიძის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შემდეგ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეაფასონ განმეორებითი ძალადობის რისკები და უზრუნველყონ ძალადობის პრევენცია. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა სამართალდამცავ უწყებებს ეკისრებათ.

„გირაოს შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. სანახავია, რატომ შეცვალა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახე, ამაში სახალხო დამცველი ვერ ჩაერევა, თუმცა, რაც შემიძლია გითხრათ არის ის, რომ რადგან ოჯახში ძალადობის საქმე არის, რადგან იარაღი ფიგურირებს ამ საქმეში, ამ ვითარებაში უკვე სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეაფასონ განმეორებითი ძალადობის რისკები და უზრუნველყონ განმეორებითი ძალადობის პრევენცია. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა არის სამართალდამცავ უწყებებზე, რომ მათ სათანადო რისკების შეფასება და პრევენცია მოახდინონ, რომ დაზარალებული არ დაექვემდებაროს განმეორებით ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობას, – განაცხადა ლომჯარიამ.

დავით ცინარიძე სამართალდამცავებმა 28 აპრილს დააკავეს. პროკურატურის ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა დავით ცინარიძემ მეუღლეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთჯერადად გაისროლა. ცინარიძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარასა და ძალადობას გულისხმობს.

# მდინარე ჯუმში პირუტყვის გადარეკვისას 15 წლის ზვიად ქანთარია დაიღუპა

ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში ორდღიანი ძებნის შემდეგ მდინარე ჯუმში დაკარგული მოზარდი იპოვეს. სოფლის რწმუნებულმა მამუკა ჯოლოგუამ განაცხადა, რომ 15 წლის მოზარდის ცხედარი ქვიშაში იყო ჩაფლული.

– მდინარის დონემ რომ დაიკლო, სადაც დაიკარგა, იქიდან ერთ კილომეტრში იპოვეს, – განაცხადა ჯოლოგუამ.

გარდაცვლილი მოზარდი ზაალ ქანთარიაა. უბედური შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა ბიჭი პირუტყვის გადმოსარეკად მდინარის მეორე ნაპირზე გადადიოდა – ის დინებამ გაიტაცა. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, შემთხვევის დროს 15 წლის ბიჭი მშობლებთან ერთად იმყოფებოდა, თუმცა ძლიერი დინების გამო მათ წყლიდან მოზარდის ამოყვანა ვერ შეძლეს.

მოზარდის გარდაცვალებას დარჩელის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მარინე ცარციძე სოციალურ ქსელში ეხმაურება:

„ზაალ, შვილო, რამ შეგიყვანა ამ ადიდებულ მდინარეში. რატომ გარისკე სიცოცხლით. ბავშვებო, იცოდეთ, სიცოცხლე მარტო თქვენი არაა, ის, პირველ რიგში, მშობლებისაა, და-ძმისაა, მეგობრისაა, ჩვენიცაა, მასწავლებლების.

თქვენი ტკივილიანი წასვლით ყველას გვაკლდება დარდისაგან სიცოცხლის წლები. რა ქნას საწყალმა შენმა დედიკომ, მამიკომ, ძმამ. რა ვქნათ ჩვენ, შენ რომ აღარ შემოაბიჯებ სკოლაში და არ შემოგვცინებ ალალი, ოდნავ ეშმაკური ღიმილით.

წუხელ ყველა სასწაულს ვთხოვდით უფალს, შენი დაბრუნების იმედი გვქონდა, დღეს კი ღმერთს ვთხოვთ შენი სხეულის პოვნას, რათა შენმა დედიკომ უკანასკნელად ჩაგიხუტოს გულში. შენ თამაშისა და გართობის დროს არ დაგემართა ეს უსაშველო უბედურება, საქონლის გამორეკვა გინდოდა, ჩემო შრომისმოყვარე ბიჭო.

ალალ-მართალო, უცოდველო, ანგელოზო, ძაღლი მოგყვებოდა უკან, ალბათ გრძნობდა, უბედურება გელოდა, არ მიგატოვა და თან გამოგყვა. ოი, უბედურო სიკვდილო, როგორ გაამწარე მთელი სოფელი. ასეთი ცოდვა კარგა ხანია, არ დატრიალებულა, ყველა ტირის.

ღმერთო, მიეცი ძალა მშობლებს გაუძლონ ამ საშინელ ტკივილს. გვიყვარხარ, ზაალ, ნეტავ უფრო მეტად მოგფერებოდით სიცოცხლეში“, – წერს მარინე ცარციძე.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, საძიებო სამუშაოებში ჩართული იყვნენ სახანძრო-სამაშველო ჯგუფები სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებიდან. ოპერაციაში, ასევე, მონაწილეობდა განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ჯგუფი თბილისიდან.

„მობილიზებული იყო დრონი და სამი ერთეული მცურავი საშუალება. წყლის ფსკერის დათვალიერება მიმდინარეობდა ექოლოტის საშუალებით. ადგილზე შექმნილი იყო სამუშაო შტაბი, საიდანაც ხორციელდებოდა ოპერაციის მონიტორინგი“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

დაკარგული არასრულწლოვნის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შეტყობინება 13 ივლისს შევიდა, რის შემდეგაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა მდინარე ჯუმში აქტიური საძიებო-სამაშველო ოპერაცია დაიწყო.

# ილჰამ ალიევი: „ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების გმირობა დავიწყებას არასდროს მიეცემა“



– ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების გმირობა დავიწყებას არასდროს მიეცემა!

ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი დაპირისპირებისას დაღუპული გენერალ-მაიორისა და პოლკოვნიკის ოჯახების წევრებთან საუბრისას განაცხადა.

აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, პრეზიდენტი გენერალ-მაიორ პოლად გაშიმოვის დედას სამაია გაშიმოვასა და პოლკოვნიკ ილგარ მირზაევის ვაჟს, ელვინ მირზაევს, ტელეფონით ესაუბრა და მიუსამძიმრა.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ოლად გაშიმოვი და ილგარ მირზაევი 14 ივლისის ბრძოლის დროს დაიღუპნენ.

ისინი 15 ივლისს დაკრძალეს.

– სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე განხორციელებული სამხედრო ოპერაციების დროს 10 სომეხი ჯარისკაცი დაშავდა.

სომხური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ სომხეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერმა შუშან სტეპანიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, ათი დაშავებული სამხედროდან ერთის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.

– ათ სამხედრო მოსამსახურეს სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები აქვს მიყენებული. მათ სამედიცინო მკურნალობა უტარდებათ. ერთი სამხედრო მოსამსახურე კრიტიკულ მდგომარეობაშია, ხუთის მდგომარეობა საშუალოა, თუმცა დადებითი დინამიკა აღენიშნებათ, დანარჩენები კი სამხედრო სამსახურს მომავალი კვირის განმავლობაში დაუბრუნდებიან, – განაცხადა შუშან სტეპანიანმა.

# შეტაკებები ბაქოში



სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარმა შეტაკებებმა ბაქოში მდგომარეობა გაამწვავა. აზერბაიჯანის დედაქალაქში კვლავ გაიმართა აქცია, რომლის მონაწილეებმაც პრეზიდენტ ალიევისაგან მობილიზაციის გამოცხადება და სომხეთთან ფართომასშტაბიანი ომის დაწყება მოითხოვეს.

– აქციაში 1000-მდე ადამიანი მონაწილეობდა, – იტყობინება „ლენტა რუ“.

მანიფესტანტები აზერბაიჯანის პარლამენტის შენობაში შეიჭრნენ. პასუხად ხელისუფლებამ პოლიცია გამოიყვანა. მოხდა შეტაკება. პოლიციამ გამოიყენა რეზინის ხელკეტები და წყლის ჭავლი. საკმაო შეხლა-შემოხლის შემდეგ მოხერხდა პარლამენტის შენობიდან დემონსტრანტების გამოძევება. მანიფესტანტები დაიშალნენ. მიუხედავად ამისა, პარლამენტი პოლიციის კორდონის გარემოცვაშია.

## ტრამპმა ჰონგ კონგს შეღავათიანი რეჟიმი მოუხსნა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც ჰონგ კონგს შეღავათიანი რეჟიმი მოეხსნა. პარალელურად შემოღებულ იქნა სანქციები იმ ჩინელი მაღალჩინოსნების მიმართ, რომლებიც ჰონგ კონგში ადამიანის უფლებების დარღვევაში არიან დამნაშავე.

– ჩვენ არ შეგვიძლია, მშვიდად ვუყუროთ იმას, თუ როგორ ილახება ადამიანის უფლებები ჩინეთში, კერძოდ, ჰონგ კონგში! – თქვა ტრამპმა.

## შედგა ტრამპისა და კანადის პრემიერის სატელეფონო საუბარი

შედგა დონალდ ტრამპისა და კანადის პრემიერ ტრიუდოს სატელეფონო საუბარი. მისი ძირითადი თემა აშშ-კანადის ეკონომიკური კავშირები იყო.

ტრამპმა მაღალი შეფასება მისცა აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის გაფორმებულ ეკონომიკურ შეთანხმებას. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დადებული ხელშეკრულება როგორც აშშ-ის, ისე მექსიკისა და კანადისათვის მომგებიანია.

– ჩვენ ღირსეულად გავუმკლავდებით იმ გამოწვევას, რომელიც კორონავირუსის პანდემიის შედეგად მივიღეთ და აქედან უფრო ძლიერები გამოვალთ, ვიდრე მანამდე ვიყავით, – თქვა ტრამპმა.

## დონბასში უკრაინელი სამხედრო ექიმი მოკლეს

დონბასში შეტაკებები გრძელდება. რუსმა ოკუპანტებმა ცეცხლი გაუხსნეს მანქანას, რომლითაც დაღუპული უკრაინელი ჯარისკაცები ბრძოლის ველიდან უნდა გაეყვანათ. ამ დროს დაიღუპა უკრაინელი სამხედრო ექიმი. სასიკვდილოდ დაიჭრა კიდევ ერთი უკრაინელი ჯარისკაცი. ერთმა ტრავმა მიიღო.

უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა მმართველი პარტიიდან „ხალხის მსახური“ ირინა ვერეშჩუკმა განაცხადა, რომ რუსეთი დადებულ შეთანხმებებს არღვევს, რაც დონბასში მშვიდობის აღდგენას შეუძლებელს ხდის.

– დადგა დრო, როცა რუსეთმა თავისი ვერაგობის საფასური უნდა გადაიხადოს. მხედველობაში მაქვს ოკუპანტების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება, – თქვა ვერეშჩუკმა.

დონბასში ბრძოლები გრძელდება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ორმხრივი სროლების შედეგად დაჭრილია 7 უკრაინელი ჯარისკაცი. მტერმა გამოიყენა ტანკები, გრადები, ფაგოტები. საპასუხო ცეცხლით განადგურებულია 1 რუსი ჯარისკაცი. დაიჭრა 5.

## ჟირინოვსკი ხაბაროვსკის აქციებს მხარს არ უჭერს

ხაბაროვსკში საპროტესტო აქციები გრძელდება. მისი მონაწილენი გუბერნატორ ფურგალის დაპატიმრებას აპროტესტებენ. ვლადიმერ ჟირინოვსკიმ თავის ინტერვიუში აქციები დაგმო.

– ხაბაროვსკის აქციები სტიქიური ხასიათისაა. ჩვენ მათ მხარს არ ვუჭერთ! – თქვა ჟირინოვსკიმ.

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა განაცხადა, რომ სტიქიურობა ანარქიაა. ლიბერალ– დემოკრატიული პარტია ასეთ აქციებში მონაწილეობას არ მიიღებს.

– რუსეთს უკრაინის მსგავსი ანარქია ემუქრება! აუცილებელია მკაცრი ზომების გატარება, – ამბობს ჟირინოვსკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რას უქადის პოლონეთს ანჟეი დუდას გამარჯვება?!



პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დასრულდა. მოქმედმა პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა. მან ხმების 51,5% მოაგროვა, მისმა კონკურენტმა და ვარშავის მერმა ტშესკოვსკიმ – 49,5%. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ასეთი დაძაბული ბატალიები პრეზიდენტობისათვის პოლონეთში ჯერ არ ყოფილა.

მიმოიხილავენ რა არჩევნებს, პოლონელი პოლიტოლოგები ხაზს უსვამენ, რომ დუდამ ძირითადად იმ რეგიონებში გაიმარჯვა, რომლებიც ადრე რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, ტშესკოვსკიმ კი იმ რეგიონებში, რომლებიც პრუსიას ეკუთვნოდა (თუ არ ჩავთვლით ვარშავას, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო). დუდას ამომრჩევლები ძირითადად იყვნენ შუახნისა და ხანდაზმული ადამიანები, ტშესკოვსკისა კი – ახალგაზრდობა.

დუდა აშკარა კონსერვატიული პროგრამით გამოდიოდა. მას მხარი უმეტესწილად პატარა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლებმა დაუჭირეს. ტშესკოვსკი კი ლიბერალი იყო. მისი ამომრჩევლები დიდი ქალაქების მცხოვრებლები და ახალგაზრდები იყვნენ.

დუდა-ტშესკოვსკის დაპირისპირება კონსერვატიული და ლიბერალური იდეოლოგიების დაპირისპირებაა, თუმცა ორივეს აერთიანებდა ერთი: შიში რუსეთის წინაშე, პოლონეთში უკრაინული სცენარის განმეორების შიში. ამიტომ ორივე ქვეყანაში დამატებითი ამერიკული კონტინგენტის განთავსების მომხრე იყო. ამ საკითხში მათი ერთიანობა პოლონური საზოგადოების პოზიციას გამოხატავს. დღევანდელი პოლონეთი ლიბერალებად და კონსერვატორებად არის დაყოფილი. მიუხედავად ამისა, ორივე თვლის, რომ ამერიკა პოლონეთის უსაფრთხოების უმთავრესი გარანტია. ამიტომ დამატებითი ამერიკული კონტინგენტის განთავსებაც აუცილებელია.

დუდას გამარჯვება ვაშინგტონის, უწინარეს ყოვლისა, დონალდ ტრამპის გამარჯვებაა. დუდას შეხედულებები უმეტეს შემთხვევაში ტრამპისას ემთხვევა. ამავე დროს, დუდას ევროკავშირთან სერიოზული უთანხმოება აქვს. ეს საარჩევნო კამპანიის დროსაც გამოჩნდა. დუდამ გერმანიას ბრალად დასდო პოლონეთის შიდა საქმეებში, კერძოდ, არჩევნებში ჩარევა.

ვარშავასა და ბრიუსელს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია. როგორც ჩანს, ეს დაძაბულობა მომავალში კიდევ გაიზრდება. პოლონეთი, რომელიც გამოიკვეთა, როგორც აშშ-ის უმთავრესი მოკავშირე ევროპაში, დაპირისპირებაშია გერმანიასთან, რომელიც ევროკავშირის უმთავრეს ლოკომოტივს წარმოადგენს. ლიბერალ ტშესკოვსკის გამარჯვებას ამ დაპირისპირების რამდენადმე შემცირება შეეძლო. ეს ვერ მოხერხდა. ახლა პოლონეთ-გერმანიას შორის უფსკრული გაიზრდება. შესაბამისად, გაიზრდება კონფლიქტები ვარშავასა და ბრიუსელს შორისაც.

მეგობრობა აშშ-სთან, კონფლიქტები ევროკავშირთან – ასეთი იქნება ახლო მომავალში პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი სქემა. ამავე დროს, კიდევ უფრო დაიძაბება ისედაც დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან. ვარშავა-ვაშინგტონის დაახლოება ამას ხელს შეუწყობს. პოლონეთი გაააქტიურებს მოქმედებას აღმოსავლეთით. ეს, უწინარეს ყოვლისა, უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს შეეხება. პოლონეთი ამ ქვეყნებისათვის დასავლეთში უმთავრეს ლობისტად გადაიქცევა. დუდა სხვა პოლონელ პრეზიდენტებზე მეტად შეეცდება, რომ უკრაინა და საქართველო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანდნენ.

# ბელორუსში მასობრივი საპროტესტო აქციებია



როგორც ცნობილია, ბელორუსის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა ლუკაშენკოს მთავარი მოწინააღმდეგე ბაბარიკო. ის კვლავაც წინასწარ პატიმრობაშია. ბელორუსი ოპოზიციონერები თვლიან, რომ ეს უკანონობაა.

– სანამ სასამართლო ბაბარიკოს არ გაასამართლებს და განაჩენს არ გამოუტანს, ის უდანაშაულოდ ითვლება. შესაბამისად, ყველა ის უფლება აქვს, რომლებიც ჩვეულებრივ მოქალაქეს, – აცხადებენ ბელორუსი ოპოზიციონერები.

მინსკის, ბობრუისკის, ბრესტისა თუ სხვა ქალაქების ქუჩებში ათასობით მოქალაქე გამოვიდა. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის გაიმართა შეტაკებები. ორივე მხარეს არიან დაზარალებულნი. პოლიციამ რამდენიმე დემონსტრანტის დაკავება მოახერხა. მანიფესტაციები გრძელდება.

უკრაინელ ექსპერტ პალიის ცნობით, რუსეთი საპროტესტო მანიფესტაციებს ოსტატურად იყენებს. კრემლი ცდილობს, ლუკაშენკო კუთხეში მიიმწყვდიოს და თავისი პირობები თავს მოახვიოს. ეს რუსეთ-ბელორუსის ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნაა. ბელორუსის პრეზიდენტი ამას ეწინააღმდეგება. მოსკოვის წნეხიც ძლიერდება.

– ლუკაშენკოს არწმუნებენ, რომ დასავლეთი გეგმავს ბელორუსში გადატრიალებას და მოძმე რუსეთის დახმარების გარეშე ლუკაშენკო ამას ვერ გაუმკლავდება, – ამბობს პალიი.

თანახმად რტრ-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციისა, მინსკში უკრაინელ ნაციონალისტთა ჯგუფი გადაისროლეს. მოსალოდნელია ტერაქტები, – აცხადებს რტრ. უკრაინელები ამას არ უარყოფენ.

– თუ მინსკში ტერაქტები მართლაც მოხდა, ამას რუსეთის სპეცსამსახურები გააკეთებენ და ყველაფერს მითიურ ბანდერლებს გადააბრალებენ. არ არის გამორიცხული, რომ ამის შემდეგ პუტინმა ბელორუსში ჯარი შეიყვანოს, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

რუს პოლიტოლოგ სოლოვეის აზრით, აგვისტო ბელორუსისათვის გადამწყვეტი იქნება. პუტინი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ბელორუსში ქაოსი გამოიწვიოს და შემდეგ იქ ჯარი შეიყვანოს.

– ამის შემდეგ უკრაინის ჯერი დადგება! ჯერჯერობით პუტინი თავს იკავებს, მაგრამ აგვისტოში გადაწყვეტს, შეიყვანოს თუ არა ჯარი უკრაინაში, – თქვა სოლოვეიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ნიანგმა მერძევე იმსხვერპლა



ინდოეთის ოდიშას შტატში მდებარე ბხიტარკანიკის პარკში ნიანგი თავს დაესხა და წყალში ჩაითრია მერძევე, რომელიც მეორე ნაპირზე გადასასვლელად ნავს ელოდებოდა.

მერძევე მამაკაცს რძე უახლოეს ბაზარში გასაყიდად მიჰქონდა და სოფელ სატაბხაიას მახლობლად, მდინარე ბაუსაგალიზე მეორე ნაპირზე გადასასვლელად ნავს ელოდებოდა.

– მოულოდნელად მუხლებამდე წყლიდან ნიანგი ამოხტა, მამაკაცს პირი სტაცა და წყლის ქვეშ ჩაითრია. ადგილობრივებმა განგაში ატეხეს და მერძევის გადარჩენას შეეცადნენ, მაგრამ უშედეგოდ, – განაცხადა მენავე კარუნაკარ ბეხერამ.

სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, მაშველებმა და ადგილობრივებმა სამძებრო სამუშაოები დაიწყეს, თუმცა მერძევის ცხედარი დღემდე ნაპოვნი არ არის.

სატყეო მეურნეობა მზადაა, მამაკაცის ოჯახს კომპენსაციის სახით 400 ათასი რუპია გადაუხადოს.

### პავიანმა ადამიანი სახლის სახურავიდან გადმოაგდო

კენიის ქალაქ ნაირობიში პავიანმა ადამიანი შენობის სახურავიდან გადმოაგდო. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მიკროავტობუსის მძღოლი დიქსონ მაინა შეეცადა, ამძვრალიყო სახურავზე, სადაც მაიმუნი იყო მოკალათებული. მოგვიანებით მან განმარტა, რომ მისი გაგდება სურდა. პავიანმა მიახლოებული ადამიანი შენიშნა და თავს დაესხა. შედეგად მაინა მეოთხე სართულის სიმაღლიდან გადმოვარდა.

ჩამოვარდნის შემდეგ მამაკაცმა დამოუკიდებლად მოახერხა ფეხზე წამოდგომა, ხოლო შემთხვევის თვითმხილველები მას საავადმყოფომდე მიღწევაში დაეხმარნენ. მას მოტეხილი აქვს ხელი, დაზიანებული აქვს თითი, ასევე იარები აღენიშნება სახეზე, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიღებული დაზიანებები მისი სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

### მანქანების გამტაცებლები ერთმანეთს დაეჯახნენ და ჩავარდნენ



ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ ნიუბერგის მცხოვრები შეეცადა, გატაცებული ავტომობილით პოლიციას გაჰქცეოდა და დაეჯახა სხვა გატაცებულ ავტომობილს, რომლის საჭესთანაც ქალი იჯდა.

27 წლის რენდი კუპერი ტოიოტა ლენდ კრუიზერით შეეცადა, თავი დაეღწია პოლიციის დევნისთვის, მაგრამ მან მანქანის მართვას თავი ვერ გაართვა და ავტომობილი დაეჯახა ბიუიკ რეგალს, რომელსაც ქალი მართავდა.

პოლიციამ კუპერი დააკავა და ამ დროს გაირკვა, რომ ის ავტომობილი, რომელსაც ის დაეჯახა, ასევე იძებნებოდა. ამის შემდეგ 25 წლის კრისტინ ბეგი, რომელიც ამ ავტომობილს მართავდა, სამართალდამცავებმა ასევე დააპატიმრეს.

ქალს წაყენებული აქვს ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ყოფნის დროს მანქანის მართვისა და სატრანსპორტო საშუალების არასანქცირებულად გამოყენების ბრალდება, ხოლო კუპერს ბრალად ედება მანქანის სახიფათო მართვა, პოლიციისგან გაქცევის მცდელობა, თავდასხმა, ავტომობილის არასანქცირებულად გამოყენება და კიდევ ორი დანაშაული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საზოგადოება

# ჩინეთის კინოაკადემია ქართველების მონაწილეობით კომედიას იღებს

ჩინეთის კინოაკადემიამ ქართველ სტუდენტებთან გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს მათ რეკლამირებას, როგორც მსახიობებისა და შემდგომში მათ სხვადასხვა ფილმსა თუ სერიალში გადაღებას.

პროექტი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პეკინის ცენტრალურ დრამის აკადემიას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა. თეატრალური უნივერსიტეტის რექტორის, რეჟისორ გიორგი მარგველაშვილისა და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, თეატრმცოდნე თამარ ცაგარელის ხელშეწყობით 2017 წლის სექტემბრიდან დრამის ფაკულტეტის 7 სტუდენტი: გიორგი ჭუმბურიძე, თეიმურაზ ძოწენიძე, ბარბარე სუჯაშვილი, გიორგი ზვიადაძე, თათია გვასალია, მიმი გოგოხია და მიხეილ იოსელიანი აღნიშნული აკადემიის სამსახიობო ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობენ.

ჩინური მედიაჯგუფი დაინტერესდა და დაიწყო კომედიური ჟანრის სერიალის „არ მითხრა უარი“ გადაღებები, რომელშიც მთავარ როლებს ქართველი სტუდენტები ასრულებენ, მაგრამ გლობალური პანდემიის გამო ამ ეტაპზე გადაღებები დროებით შეჩერებულია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

• ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს“, რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# სადისციპლინო კომიტეტმა გადარჩენილი კოხრეიძე დასაჯა



ეროვნული ლიგის მე-5 ტურში იყო რამდენიმე ეპიზოდი, რომლებსაც სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა. კონკრეტული შემთხვევები ვარაუდებზე იყო აგებული და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კარგად მოიქცა, რომ სწორი დასკვნები გამოიტანა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტის სხდომა გაიმართა. სხდომაზე განხილულ იქნა ეროვნული ლიგის მე-5 ტურის მატჩებში მომხდარი ინციდენტები.

პირველი შემთხვევა, რომელზეც სხდომის მიმდინარეობისას იმსჯელეს, საბურთალო-თელავის მატჩის 75-ე წუთზე მომხდარი ინციდენტი გახლდათ. კომიტეტის წევრების გადაწყვეტილებით, მატჩის ვიდეოჩანაწერის ანალიზის შემდეგ არასპორტული საქციელის (შეფურთხება) გამო, სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის 98-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, კლუბ საბურთალოს ფეხბურთელ გიორგი კოხრეიძეს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა 2.000 ლარი განესაზღვრა.

გეტყვით, რომ ამ ეპიზოდში მსაჯმა გიორგი კიკაჩეიშვილმა კოხრეიძეს მხოლოდ გაფრთხილება მისცა. ასევე გააფრთხილა ინციდენტის მე-2 მხარეს მყოფი რაფაელ ჩუკვურა, თუმცა სადისციპლინო კომიტეტმა კოხრეიძეს დანაშაული მაინც „ამოუქექა“, რაც მისასალმებელია. სხდომაზე ტორპედო-დინამო თბილისის 68-ე წუთზე მომხდარი ინციდენტი განიხილეს. თბილისის დინამოს ფეხბურთელ გიორგი ქიმაძეს მეტოქის სიტყვიერი შეურაცხყოფისა და არასპორტული საქციელისთვის (შეფურთხება) სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის 98-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების მიხედვით, 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა 2.400 ლარის ოდენობით განესაზღვრა, ხოლო ქუთაისის ტორპედოს ფეხბურთელ თორნიკე გრიგალაშვილს მეტოქის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, ამავე კოდექსის 98-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი ჯარიმა 400 ლარის ოდენობით დაეკისრა.

# ტუხელი რეშფორდს ითხოვს

მომდევნო სეზონის დაგეგმვისთვის პარი სენ-ჟერმენს ძალიან ბევრი დრო აქვს. გუნდის მთავარი მწვრთნელი ტომას ტუხელი კი ხელმძღვანელობას მანჩესტერ იუნაიტედიდან მარკუს რეშფორდის შეძენას დაჟინებით სთხოვს.

რეშფორდს, როგორც მთავარ სამიზნეს, ტუხელი კი განიხილავს, მაგრამ „ოლდ ტრაფორდზე დიდად აფასებენ. ამიტომ წარმოუდგენლად მოჩანს, თუ რა უნდა შესთავაზონ მანჩესტერელებს, რომ მის გაყიდვას დასთანხმდნენ. პარიზული კლუბის მფლობელი კი პანდემიის პირობებშიც მზად არის, 100 მილიონზე მეტი გადაიხადოს და ტუხელს მოთხოვნა დაუკმაყოფილოს.

გერმანელი თავკაცი რეშფორდში მრავალფეროვან ფეხბურთელს ხედავს და მიიჩნევს, რომ ნეიმარის იდეალური შემცვლელი იქნება. რეშს ასევე მოიაზრებენ კილიან მბაპეს გრძელვადიან შემცვლელად, თუ ეს უკანასკნელი მადრიდის რეალში ამოყოფს თავს.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელს იდეალური ურთიერთობა აქვს ოლე გუნარ სოლსკიაერთან და ეს ტრანსფერი ურთულესი შესასრულებელი იქნება.

# ანტონ თოლორდავა: „თელავი ატლეტიკოს ჰგავს“

ეროვნული ლიგის დებიუტანტი თელავი სასიამოვნოდ გვაოცებს – რევაზ გოცირიძის გუნდი გამოირჩევა ბრძოლისუნარიანობით და, მიუხედავად იმისა, რომ უცნობი გვარ-სახელების ფეხბურთელები ჰყავს, კახელები კარგ და ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობენ...

მათ რიგებში გამოირჩევა 3 ცენტრალური მცველი – ძოწენიძე-თოლორდავა-ბერიაშვილი. მათგან 23 წლის ანტონ თოლორდავა გუნდის კაპიტანია. ამასთან უაღრესად საიმედოდ და საზრიანად მოქმედებს...



**ანტონ თოლორდავა:**

– ფეხბურთისადმი დიდი ინტერესი ბავშვობიდან მქონდა. მშობლებმა მუშტაიდის ბაღის გვერდით ნორჩი დინამოელის საფეხბურთო სკოლაში შემიყვანეს და სწორედ იქიდან დაიწყო ყველაფერი. ამის შემდეგ ვითამაშე ცხინვალში, მერე მივედი თელავში და ამ გუნდში ვარ დღემდე... კახურ გუნდში ჩემი მიყვანის ინიციატორი თელავის ყოფილი მწვრთნელი მალხაზ ჟვანია გახლდათ. ცხადია, კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად და ახალგაზრდულ ასაკში მათ დიდი ნდობა გამომიცხადეს...

***– და მას შემდეგ ერთად მოდიხართ.***

– დიახ. თელავში ჯერ კიდევ მაშინ ჩავირიცხე, როცა გუნდი რეგიონულ ლიგაში ასპარეზობდა და მასთან ერთად განვითარების ყველა საფეხური გავიარე. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ეს გუნდი ჩემთვის ნამდვილი ოჯახია. ყველანაირად ვცდილობ, მის წარმატებაში შევიტანო წვლილი. ძალიან მიხარია, რომ კლუბი ასე ვითარდება.

***– ბავშვობიდან ცენტრალური მცველი იყავით?***

– კი, რაც ფეხბურთს ვთამაშობ, სულ ცენტრალური მცველი ვარ. ამპლუა არასოდეს შემიცვლია და, უდიდესი ალბათობით, არც სამომავლოდ შევიცვლი.

***– ასაკობრივი ნაკრებების შეკრებაზე თუ ყოფილხართ გამოძახებული?***

– ერთხელ გამომიძახეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე. ეს იყო მაშინ, როცა გუნდს გია გეგუჩაძე წვრთნიდა...

***– თელავმა მშვენივრად დაიწყო სადებიუტო სეზონი. რაშია გუნდის ძალა?***

– ძალიან მებრძოლი გუნდი გვყავს და ამის თქმა ჩემგან, ალბათ, გადაჭარბება არ იქნება. მინდორზე შეკრულები გავდივართ. სამწვრთნელო შტაბი ჩვენგან ითხოვს კარგად ორგანიზებულ ფეხბურთს. ეს ძალიან სასიამოვნოა. მაგალითად, თელავის თამაშის სტილს მადრიდის ატლეტიკოსას შევადარებდი. ცუდად არ გამიგოთ, ძალიან კარგად მესმის, რომ სულ სხვა დონეა, უბრალოდ, ვლაპარაკობ სათამაშო სტილზე. ძალიან გვიყვარს კონტრშეტევები... ჩვენს წისქვილზე, ალბათ, ისიც ასხამს წყალს, რომ ბაზაზე ვცხოვრობთ, ბიჭები სულ ერთად ვართ.

***– რევაზ გოცირიძეზე რას იტყვით?***

– პირველი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ მას უზომოდ უყვარს ფეხბურთი! თითოეული ჩვენგანის მიმართ ძალიან მომთხოვნია. თავის დროზე, გუნდში მალხაზ ჟვანიას ასისტენტი იყო, შემდეგ თელავიდან წავიდა და ისევ დაგვიბრუნდა. ამდენად, ეს გუნდი მისთვის უცხო არ არის. გარდა ამისა, ჩვენი მწვრთნელი ძალიან მაგარი მოტივატორიცაა. თვითონაც სულ მონდომებულია და, თავისთავად, ეს განწყობა ფეხბურთელებზეც გადადის.

***– თქვენი სამომავლო მიზნები რა არის?***

– ზოგადად, მინდა, კარგი ფეხბურთი ვითამაშო – ისეთი, გულშემატკივარს რომ დაამახსოვრებ. მინდა, ევროპაშიც მოვსინჯო ძალა. ამასთან, უზომოდ მინდა საქართველოს ნაკრებში მოხვედრაც...

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ინგლისში სიტის გამართლება არ მოსწონთ

უეფამ თებერვალში ევროთასებიდან მანჩესტერ სიტის 2 წლით დისკვალიფიკაცია და 30 მილიონი ევროთი დაჯარიმება გადაწყვიტა, რისი მიზეზიც ფინანსური ფეარ პლეის წესების დარღვევა გახდა. მანჩესტერ სიტიმ აპელაცია სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანა, რომელმაც ინგლისურ გრანდს დისკვალიფიკაცია მოუხსნა. თუმცა, ჯარიმის სახით, 9 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მაინც მოუხდა.

ამ ამბავმა ბრიტანეთში „ომი“ გამოიწვია. არიან ბობოლა გუნდების მწვრთნელები, რომელთაც ეს ფაქტი არ მოეწონათ.

მაგალითად, ჟოზე მოურინიო ამბობს, რომ ფინანსური ფეარ პლეის იდეა მოკვდა და ამის მიზეზი სიტისთვის 2-წლიანი დისკვალიფიკაციის მოხსნაა. ტოტენჰემ ჰოთსპურის პორტუგალიელმა მწვრთნელმა ვერ გაიგო, თუკი კლუბი ამხელა თანხით დააჯარიმეს, გამოდის, რომ დამნაშავე ყოფილა და, თუ დამნაშავეა, მაშინ დისკვალიფიკაცია რატომ მოუხსნეს.

**ჟოზე მოურინიო:**

– იქნებ მანჩესტერ სიტი მსხვერპლია და მილიონებს ტყუილად ახდევინებენ? ასეა თუ ისე, ფინანსური ფეარ პლეი დასრულდა. ვიმეორებ: თუ სიტი უდანაშაულოა, მაშინ განაჩენიც უსამართლოა, მაგრამ თუ სიტი დამნაშავეა, მაშინ განაჩენი მაინც უსამართლოა. ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო იქნებოდა მანჩესტერ სიტი რომ გაემართლებინათ და კლუბს ჯარიმა არ გადაეხადა, ან დამნაშავედ ეცნოთ და ჯარიმა ისე დაეკისრებინათ. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ახლა მანჩესტერ სიტიზე ვლაპარაკობთ. წარსულში ანალოგიურ მდგომარეობაში სხვა კლუბებიც აღმოჩენილან და ყველას კარგად გვახსოვს როგორ დამთავრებულა მათი ამბავი. მოკლედ, ყველაფერი ცირკს დაემსგავსა. ამიტომ, მოდი გავაღოთ ცირკის კარი და ყველა შევუშვათ შიგ. იხალისოს ხალხმა.

**დაახლოებით იმავე აზრზეა ლივერპულის გერმანელი თავკაცი იურგენ კლოპი:**

– პირადად გახარებული ვარ, რომ სიტი ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს მომავალ სეზონში, რადგან ამის გარეშე ჩვენ პრემიერლიგაში სიტისთან შანსი არ გვექნებოდა, კონკურენტი 10-12 თამაშით ნაკლებს ითამაშებდა. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ფეხბურთისთვის კარგი დღე იყო. ფინანსური ფეარ პლეი ძალიან კარგი იდეაა, ეს იცავს შეჯიბრებებს იმისგან, რომ რომელიმე კლუბმა გაცილებით მეტი არ დახარჯოს და ამის ხარჯზე არ მიაღწიოს უპირატესობას. ჩემს სამშობლო გერმანიაში კლუბები კერძო მეპატრონეებზე არ არის დაფუძნებული. კლუბი ყოველ წელს თავიდან იღებს ლიცენზიას. იმედი მაქვს, რომ ფინანსური ფეარ პლეის იდეა ამის გამო არ დაიკარგება, რადგან ის მსოფლიო საკლუბო ფეხბურთს გარკვეულ საზღვრებში ტოვებს. თუ უმდიდრესი კლუბები და ქვეყნები გააკეთებენ იმას, რასაც მოისურვებენ, ყველაფერი გართულდება. ეს ყოველივე მსოფლიო ლიგამდე მიგვიყვანს. მთავარი იქნება, ვის ეკუთვნის კლუბი და არა მისი სახელი.

**ძველი მტერ-მოყვრის კომენტარებს მანჩესტერ სიტის თავკაცმა პეპ გვარდიოლამ ასე უპასუხა:**

– ჟოზემ და სხვა მწვრთნელებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ ზარალი მოგვაყენეს და ბოდიში უნდა მოგვიხადონ. რაიმე ცუდი რომ ჩაგვედინა, სასჯელს როგორც უეფასგან, ასევე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოსგან მორჩილად მივიღებდით. დამნაშავე მართლაც უნდა დაისაჯოს. არ ველით, რომ ლივერპული, ტოტენჰემი, არსენალი, ჩელსი, ვულვზი და სხვები მხარს დაგვიჭერენ, მაგრამ საკუთარი თავი ხომ უნდა დავიცვათ. ჩვენ გვწამს, რომ მართლები ვართ და ყველაფერი რაც გავაკეთეთ სწორი იყო. ეს სამმა დამოუკიდებელმა მოსამართლემ დაგვიდასტურა. ჩვენ სუფთა ვართ...

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის სასწავლო ლაბორატორიის უფროსს, ქალბატონ ნინო ჩავლეშვილს გარდაეცვალა მამა

**ბადრი ჩავლეშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# შედეგები

## 14 ივლისი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ნორვიჩი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 35 | 30 | 3 | 2 | 76-27 | 93 |
| 2.სიტი | 35 | 23 | 3 | 9 | 91-34 | 72 |
| 3.ჩელსი | 36 | 19 | 6 | 11 | 64-49 | 63 |
| 4.ლესტერი | 35 | 17 | 8 | 10 | 65-36 | 59 |
| 5.მანჩესტერი | 35 | 16 | 11 | 8 | 61-33 | 59 |
| 6.ვულვზი | 35 | 14 | 13 | 8 | 48-37 | 55 |
| 7.შეფილდი | 35 | 14 | 12 | 9 | 38-33 | 54 |
| 8.ტოტენჰემი | 35 | 14 | 10 | 11 | 54-45 | 52 |
| 9.არსენალი | 35 | 12 | 14 | 9 | 51-44 | 50 |
| 10.ბარნლი | 35 | 14 | 8 | 13 | 39-47 | 50 |
| 11.ევერტონი | 35 | 12 | 9 | 14 | 41-52 | 45 |
| 12.საუთჰემპტონი | 35 | 13 | 6 | 16 | 45-58 | 45 |
| 13.ნიუკასლი | 35 | 11 | 10 | 14 | 36-52 | 43 |
| 14.კრ.პალასი | 35 | 11 | 9 | 15 | 32-43 | 42 |
| 15.ბრაიტონი | 35 | 8 | 12 | 15 | 36-52 | 36 |
| 16.ვესტ ჰემი | 35 | 9 | 7 | 19 | 44-59 | 34 |
| 17.უოტფორდი | 35 | 8 | 10 | 17 | 33-54 | 34 |
| 18.ბორნმუთი | 35 | 8 | 7 | 20 | 36-60 | 31 |
| 19.ასტონ ვილა | 35 | 8 | 6 | 21 | 38-65 | 30 |
| 20.ნორვიჩი | 36 | 5 | 6 | 25 | 26-68 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ფულემი ............ 0:0
რედინგი-მიდლსბრო ............ 1:2
უიგანი-ჰალი ............ 8:0
კარდიფი-დერბი ............ 2:1
ლუთონი-ქპრ ............ 1:1
მილუოლი-ბლექბერნი ............ 1:0
უენსდი-ჰადერსფილდი ............ 0:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ბრეშა ............ 6:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 24 | 4 | 4 | 67-32 | 76 |
| 2.ატალანტა | 33 | 21 | 7 | 5 | 93-43 | 70 |
| 3.ინტერი | 32 | 20 | 8 | 4 | 68-34 | 68 |
| 4.ლაციო | 32 | 21 | 5 | 6 | 68-35 | 68 |
| 5.რომა | 32 | 16 | 6 | 10 | 59-43 | 54 |
| 6.ნაპოლი | 32 | 15 | 7 | 10 | 52-43 | 52 |
| 7.მილანი | 32 | 14 | 8 | 10 | 45-41 | 50 |
| 8.სასუოლო | 32 | 13 | 7 | 12 | 59-54 | 46 |
| 9.ვერონა | 32 | 11 | 11 | 10 | 40-39 | 44 |
| 10.ბოლონია | 32 | 11 | 9 | 12 | 46-51 | 42 |
| 11.კალიარი | 32 | 10 | 11 | 11 | 48-46 | 41 |
| 12.პარმა | 32 | 11 | 7 | 14 | 44-44 | 40 |
| 13.ფიორენტინა | 32 | 8 | 12 | 12 | 38-44 | 36 |
| 14.სამპდორია | 32 | 10 | 5 | 17 | 39-54 | 35 |
| 15.უდინეზე | 32 | 9 | 8 | 15 | 31-46 | 35 |
| 16.ტორინო | 32 | 10 | 4 | 18 | 38-60 | 34 |
| 17.ჯენოა | 32 | 7 | 9 | 16 | 40-60 | 30 |
| 18.ლეჩე | 32 | 7 | 8 | 17 | 40-71 | 29 |
| 19.ბრეშა | 33 | 5 | 6 | 22 | 30-70 | 21 |
| 20.სპალი | 32 | 5 | 4 | 23 | 23-58 | 19 |

**პორტუგალია. პრემიერ ლიგა**

სანტა კლარა-ავეში ............ 3:0
პორტიმონენშე-ბოავიშტა ............ 2:1
ბენფიკა-გიმარაეში ............ 2:0
ჟილ ვისენტე-ტონდელა ............ 3:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ციურიხი ............ 4:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-გურნიკი ............ 1:2
პლოცკი-კორონა ............ 3:1
ზაგლებიე-ვისლა ............ 3:1
ლოძი-ჩენსტოხოვა ............ 3:2

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მცენარეული წარმოების მყარი საწვავი ნივთიერება; 2. ფრანგი პოსტიმპრესიონისტი მხატვარი; 3. პატიმრის მკაცრი დასჯისთვის განკუთვნილი ცალკე საკანი; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 6. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 7. სამრეწველო საწარმო; 9. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 13. იაპონელი მოდელიერი; 17. პროვინციის მმართველი თურქეთში; 18. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი.

**თარაზულად:** 1. ექიმის სპეციალობა; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 8. დაკოდილი მამალი ცხვარი; 10. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 11. მწყობრი, რიტმული ნაბიჯით სვლა; 12. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 14. მწვავე სისხლნაკლებობა; 15. გერმანული ჟურნალი; 16. ქიმიური ელემენტი, რბილი, მოვერცხლისფრო ლითონი; 19. აქლემის ნაშიერი; 20. ქართველი პრიმაბალერინა; 21. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ექსტაზი; 2. ძელქვა; 3. კომპექსი; 4. ხარება; 5. ჰელვეცია; 7. აკრი; 11. ლენტეხი; 13. ღვარძლი; 15. გრევე; 16. ფერმა; 18. ნალმი; 19. იუდეა.

**თარაზულად**: 6. ქრთამი; 8. ლეგიონი; 9. მარჩილი; 10. არქიელი; 12. დანტე; 14. მარიცა; 17. სტაგნაცია; 20. ღვეზელი; 21. გვარლი; 22. მეტეხი; 23. რადამესი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. გამბრინუსი; 2. ლოპოტი; 3. ბომარშე; 4. ტანგო; 5. წუწუნავა; 6. ფურკა; 7. სიმენსი; 9. ნაზუქი; 13. პიერო; 17. ხულო; 18. ობი.

**თარაზულად**: 1. გუდვილი; 3. ბატუტი; 8. დურუჯი; 10. კოსტავა; 11. ბრიზი; 12. ბოლონია; 14. ონიქსი; 15. ამერიკა; 16. ვახტი; 19. ეგრისი; 20. მირკანი; 21. სულორი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 3.0651


ევრო — 3.5049


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8715


100 რუსული რუბლი — 4.3127

## ამინდის პროგნოზი 16 ივლისისთვის




## ლუკა იოვიჩი, შესაძლოა, იუვენტუსში გადავიდეს



რეალის სერბი ფორვარდი ლუკა იოვიჩი, შესაძლოა, მომავალ სეზონში იუვენტუსის ფეხბურთელი გახდეს. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში ვრცელდება. იოვიჩი რეალის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და ამის გამო გუნდის დატოვება სურს. იოვიჩი რეალში ერთი წლის წინ გადავიდა აინტრახტიდან და ზიდანი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ იოვიჩმა ვერ შეძლო ამ იმედების გამართლება.

გარდა ამისა, პანდემიის დროს იოვიჩი სკანდალშიც გაეხვია, როდესაც ნებართვის გარეშე დატოვა ესპანეთი და სამშობლოში გაემგზავრა.

## ინტერს ერიქსენის გაყიდვა სურს



მილანის ინტერს დანიელი ნახევარმცველის კრისტიან ერიქსენის გაყიდვა სურს, რადგან ანტონიო კონტე მისი თამაშით უკმაყოფილოა. კონტე ერქისენზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ჯერჯერობით ერიქსენი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრასაც ვერ ახერხებს. მან მხოლოდ 11 შეხვედრა ჩაატარა ინტერში და ერთი გოლის გატანა შეძლო.

ერიქსენის სატრანსფერო ფასი 60 მილიონი იქნება. თუ ამ თანხას რომელიმე გუნდი გადაიხდის, მაშინ ინტერი მას გაყიდის.

## ზიდანი: „მინდა, ვილიარეალთან ჩემპიონები გავხდეთ“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ მას სურს ვილიარეალთან მოგება და ჩემპიონობის გაფორმება ბოლო ტურამდე, რადგან ასე ფანები უფრო მშვიდად იქნებიან:

– ვილიარეალთან მხოლოდ მოსაგებად გავალთ მოედანზე და სხვა ნებისმიერი შედეგი ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი არ იქნება. მინდა, ჩემპიონები რაც შეიძლება მალე გავხდეთ. ყველა გულშემატკივარს სურს ჩვენი გამარჯვების ხილვა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მაიმუნი ტურისტი ქალის გაშიშვლებას შეეცადა



ინდონეზიის კუნძულ ბალიზე მაიმუნი მაკაკა შეეცადა, ბრიტანელი ტურისტი ქალი გაეშიშვლებინა. ეს ყოველივე ვიდეოზე ტურისტის მეგობარმა ქალმა გადაიღო.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ჩრდილოირლანდიელი 38 წლის ჯილ პორტერი უბუდეში მაიმუნების ტყეს ათვალიერებდა. საკმარისი იყო, ქალი სკამზე ჩამომჯდარიყო, რომ მას მუხლებზე მაკაკა დაუსკუპდა. მაიმუნი თავდაპირველად მისი შორტების შესაკრავის გახსნას შეეცადა, შემდეგ მაისურის ქვეშ შეიჭყიტა და თმაზე მოქაჩა.

პორტერის მტკიცებით, თავდაპირველად შეშინდა, თუმცა შემდეგ მიხვდა, რომ საშიში არაფერი იყო.

– ჩემი აზრით, უბრალოდ, მაიმუნი მშიერი იყო და საკვებს ეძებდა, – ივარაუდა ბრიტანელმა ქალბატონმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



16 ივლისისთვის

**ვერძი** – დროა, ფასეულობები საფუძვლიანად გადააფასოთ. მარტოხელებმა პარტნიორის არჩევისას დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოთ. **კურო** – მერკურის რეგრესული მოძრაობა თქვენს ფინანსებს საფრთხეს უქადის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომელიც, შესაძლოა, ბინის სარემონტო სამუშაოებს უკავშირდებოდეს. **ტყუპები** – დაბნეულობა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა დღის ნეგატიურ ტენდენციებს გაზრდის. ეცადეთ, სისუსტე არ გამოიჩინოთ. **კირჩხიბი** – კონკრეტული გეგმა შეადგინეთ და მისი მიხედვით იმოქმედეთ. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ლომი** – სწორედ დღეს, შესაძლოა, თქვენი მსოფლმხედველობა მთლიანად შეიცვალოს. გელით ასევე შემოქმედებითი არეალის ცვლილება. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეს სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. წარმატება გელით კომერციულ სფეროში, რომელსაც მერკურის კეთილისმყოფელი ზეგავლენა უზრუნველყოფს. **სასწორი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ღრიანკალი** – შესაძლოა, სამსახური ან საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. ეცადეთ, ნებისმიერ ტრანსფორმაციას მშვიდად შეხვდეთ. **მშვილდოსანი** – მოგიხდებათ მოგზაურობა, მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა. კეთილისმყოფელი დღეა ხალხური მეთოდებით მკურნალობისათვის. **თხის რქა** – ზედმეტი ამბიციები მოიშორეთ და დასახული მიზნისკენ ისწრაფეთ. წარმატება თქვენს პრაქტიკულობაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ცდუნებას არ აჰყვეთ. პროვოკაციული დღეა. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **თევზები** – დღის პირველ ნახევარში ინტუიციას მიენდეთ. ორგანიზმის თავდაცვითი რეაქცია ძლიერდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მოდი, შევრიგდეთ!

– არა, საყვარელო! შერიგებამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს საჩხუბარი!

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, რაღაც გვერდში მჩხვლეტს.

– ჰოო, ეგ სიკეთე, ნდობა და ერთგულებაა.

– ეგ რას ნიშნავს, ვერ გავიგე!

– რას და ესენი გვერდითი მოვლენებია.

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– საით გაგიწევია?

– კვერცხის საყიდლად.

– მაღაზიაში?

– არა, ზღვაზე.

•••

ერთი მოხუცი ქალი მეორეს ურეკავს და ეკითხება:

– ხვალ საღამოს ჩემს იუბილეზე მოხვალ?

– კიდევ ვინ გყავს მოწვეული?

– ყველას იცნობ.

– მაინც?

– თვალის ექიმი თამარი, იურისტი ნათელა, გინეკოლოგი ლამარა, კარდიოლოგი მარიამი და კბილის ექიმი მაყვალა.

– ანკეტა წამოვიღო?

– რა ანკეტა?

– პოლიკლინიკის.

– რისთვის?

– მეხუთე ჭიქის შემდეგ სამედიცინო კომისიას გავივლი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ხატია ბუნიათიშვილმა პარიზში დაუკრა

ქართველმა პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა პარიზში ბასტილიის აღების დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე დაუკრა.



ეიფელის კოშკთან საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე ქართველმა პიანისტმა საფრანგეთის ნაციონალურ ორკესტრთან ერთად მოცარტის ნაწარმოები შეასრულა.

ხატიას მუსიკალურ ნომერს თან ახლდა შესანიშნავი ქორეოგრაფიაც, რომელმაც ქართველი პიანისტის გამოსვლა კიდევ უფრო გაალამაზა.

კონცერტი საფრანგეთის ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მისი ნახვა ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

## „მგზავრების“ სიმღერა ქორეოგრაფების მუზა გახდა



ჯგუფ „მგზავრების“ სიმღერა „დამისხი, დამალევინე“ ქორეოგრაფების მუზა გახდა.

გიგი დედალამაზიშვილის მიერ შესრულებულ ენერგიულ სიმღერაზე ბექა და ნიკა ნოზაძეებმა სპეციალური საცეკვაო ნომერი დადგეს, რომელშიც ქართული ცეკვისა და ჰიპ ჰოპის ელემენტები გააერთიანეს.

ვიდეოჩანაწერი ინტერნეტით გავრცელდა და ათასობით ადამიანის მოწონება დაიმსახურა.

## „არტ გენი“ იწყება




23 ივლისიდან ფესტივალი „არტ გენი 2020“ იწყება.

ოთხი დღის განმავლობაში ფესტივალის დამსწრე სტუმრებს საშუალება ექნებათ, დაათვალიერონ რეწვის გამოფენები, დააგემოვნონ ქართული კულინარიის კერძები, ეზიარონ ქართულ ფოლკლორს და დაესწრონ ნინო ქათამაძის, სუხიშვილების, ფრანის, რეგიონის, ნიაზ დიასამიძისა და ჯგუფ „33ა“-ს კონცერტებს.

წელს ფესტივალში ნინო ქათამაძე მსმენელის წინაშე ჯგუფ „33ა“-სთან ერთად წარდგება. ფესტივალის მონაწილეთა უმრავლესობა დამსწრე საზოგადოებას უამრავ სიახლეს სთავაზობს.

„არტ გენის“ ორგანიზატორებმა გაიარეს მთელი რიგი კონსულტაციები და ფესტივალს კოვიდ 19-თან დაკავშირებული ყველა რეგულაციის დაცვით ჩაატარებენ. როგორც ისინი აცხადებენ, ფესტივალის საღამოებზე დასწრება, რეგულაციების გათვალისწინებით, შეზღუდული იქნება.

„არტ გენი 2020“ 26 ივლისს დასრულდება.

## ქეთი მელქაძეს გამოფენით გაჭირვებულების დახმარება სურს



რკინის ბადით შექმნილი არაჩვეულებრივი ნამუშევრების ავტორ ქეთი მელქაძეს საკუთარი ნამუშევრების გამოფენაზე გაყიდული ბილეთების თანხით გაჭირვებული ადამიანების დახმარება სურს:

– იდეა ბევრი მაქვს, მაგრამ ვერ ვახორციელებ უფულობის გამო. ასეთი რამ ვიფიქრე, უამრავ თქვენგანს და არა მარტო, სურვილი აქვს ჩემი ნამუშევრების ნახვის. იქნებ ვინმეს ხელგეწიფებათ, რომ 150 კვადრატული მეტრის ფართი ვთხოვოთ მერიას ან ვინმე შეძლებულ ადამიანს ქალაქის ცენტრში გალერეის მოსაწყობად, ჩვენთვისაც და ტურისტებისთვის შესაძლებელი რომ იყოს მისი მონახულება. სიმბოლური ფასი – ბილეთი 10 ლარი და შემოსული თანხით ყოველთვე ერთად გადავწყვეტთ, რომელ შეჭირვებულ ადამიანს დავეხმაროთ.

ნამუშევრები საკმაოდ მაქვს, მოწვევებიც საზღვარგარეთიდან, მაგრამ, მგონი, მოვახერხებ საგამოფენო დარბაზის შევსებასაც და გამოფენით გასვლასაც ისე, რომ არაფერი გავაფუჭო, თან, ხომ ვმუშაობ და მიქაელიც ჯერ, მგონი, არ ჩანს.

გვექნება ჩვენი სივრცე, გვექნება შესაძლებლობა, ერთმანეთს დავეხმაროთ, შევიკრიბოთ ხოლმე და „შუშის“ გარეშე ვეფეროთ ერთმანეთს. მასტერკლასებს ჩავატარებ თვეში ერთხელ და შემოსული თანხაც ბილეთებიდან შემოსულს დაემატება. შუქის ფულსა და თანამშრომლის ხელფასს გავისტუმრებთ როგორმე. დარჩენილი თანხა სრულად გავცეთ.

ბევრი ადამიანი მთხოვს დახმარებას, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ნერვების ფასად მიჯდება და ჩემი უძლურება ხშირ შემთხვევაში მაფიქრებინებს, რომ ალბათ არასწორად ვიცხოვრე... არასწორად ვიცხოვრე, რადგან მატერიალურ კეთილდღეობაზე არასდროს მიფიქრია. მე კი ვთვლი, რომ ფულის გარეშეც უმდიდრესი ადამიანი ვარ. ადამიანი ადამიანის ადამიანობით ადამიანობს!

## ვაჟა აზარაშვილი 84 წლისაა



კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი 84 წლის გახდა. იუბილე პანდემიის გამო მოკრძალებულად ოჯახის წევრების გარემოცვაში აღნიშნა, თუმცა კოვიდ 19-მა ვერ შეუშალა ხელი, ათასობით მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

„უკან მოხედვის არ მეშინია“ – აცხადებს კომპოზიტორი და მიაჩნია, რომ ნამდვილად სიმღერაა მთელი მისი ქონება, რადგან სწორედ მუსიკამ მოიყვანა დღემდე და მუსიკამ გააძლებინა და გადაალახვინა ყველა ის დაბრკოლება და პრობლემა, რომლებიც 8 ათეული წლის განმავლობაში შეხვდა.

– ბედმა მარგუნა, მეცხოვრა და მეღვაწა ისეთ ეპოქაში, სადაც ერის ინტერესები ხშირად ეჯახებოდა პოლიტიკურს. არც ეკონომიკური პირობები იყო სახარბიელო. მიუხედავად ამისა, არასოდეს მიფიქრია, პირადი ინტერესები ყოველივეზე მაღლა დამეყენებინა და სამშობლოდან გავქცეულიყავი.

ერთადერთი, რაც ინსტრუმენტთან მიხმობდა, იყო ქართული სული, საქართველო და მეც თავაუღებლად ვქმნიდი ქართულ მელოდიებს, ჰანგებს, ვქმნიდი მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებიც არა მარტო ჩემი ერისათვის იქნებოდა გასაგები და მისაღები, არამედ უცხოელ მსმენელსაც მიესალბუნებოდა.

გარჯაში გამოვლილი კაცი ვარ, მაგრამ ბედს არ ვემდური – ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მოკრძალებული შემოქმედება, სიმღერები, ბალეტი, ოპერეტები, სიმფონიური და კამერული მუსიკა ქართველმა ხალხმა შეიყვარა, ზოგიერთმა მათგანმა კი წარმატებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და აღიარებაც მოიპოვა, – ამბობს იუბილარი კომპოზიტორი და მადლიერია ყველა იმ ადამიანის, რომლებმაც მისი შემოქმედება შეიყვარეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 2. ქართველი კინორეჟისორი; 2. მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანეთის სოფელი; 3. პატარა, ვიწრო ქუჩების სახელწოდება ძველ თბილისში; 4. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 5. მონაკოს მთავართა საგვარეულო დინასტია; 7. ფულის ერთეული იაპონიაში; 11. ბრაზილიის ნაკრებისა და „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 13. მხარე გერმანიაში; 15. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 16. ღვინის დანალექი; 18. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 19. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში.

**თარაზულად:** 6. ოპერა „სევილიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 8. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 10. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 12. მიქელანჯელოს ქანდაკება; 14. წყალი მყარ მდგომარეობაში; 17. დაბანდებული კაპიტალის მოგებიდან მიღებული თანხა; 20. ქალაქი იმერეთში; 21. მდინარე ზუგდიდში; 22. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 23. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*